ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 63
(11 417)
11 – 14 აგვისტო, 2000 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

0-3 შინ, 0-2 სტუმრად!

UEFA CUP

უეფას თასი

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი პირველი მატჩები

ყველაფერი შედარებითია

თბილისი. **10 აგვისტო. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.**

ვიტ-ჯორჯია (საქართველო) – ბეითარი (ისრაელი) (0-1) 0-3.

ვიტ-ჯორჯია: მერლანი, თ. კობიაშვილი, ჭანკოტაძე, დიდმელაშვილი, მუჯირი, ნოზაძე, გ. ყიფიანი, ხაჭაპურიძე (დოლიძე), დეკანოსიძე (საჯაია), გ. ქორიძე, მელქაძე.

ბეითარი: ჩაკი, ჰალფონი, სტოიანოვსკი, ამსალემი, სავიჩი, ტელესნიკოვი, სანდორი (აბუქსისი), როსო, განონი (დერი), მიზრაჰი, სივილა (ჰამარი).

გოლები: 0-1 მიზრახი (32), 0-2 განონი (61), 0-3 როსო (90).

გაფრთხილება: ჩაკი, ყიფიანი.

მსაჯი: მეთინ თოქათი (თურქეთი).

თავს ზევით ძალა არ არისო, „ვიტ-ჯორჯიაზე" თუ იტყვის კაცი — ჩვენს ვერცხლის პრიზიორს ცდა არ დაუკლია, მაგრამ ასეთი მაღალი რანგის ტურნირში კარგი ასპარეზობისთვისაც, აღარაფერს ვამბობთ, ნახევარფინალსა თუ ფინალისტობაზე და თასის მოპოვებაზე, მონდომებისა და სურვილის გარდა, ოსტატობაც სათანადო უნდა გქონდეს, თუნდაც საშუალო დონისა (ისეთი, როგორიც ჩვენს გუშინდელ მეტოქეს).

ებრაელთა გუნდს განსაკუთრებული არაფერი უჩვენებია, მაგრამ სწორედ მწყობრი, განსწავლული თამაშით დაგვიჯაბნა ქართული გუნდი. თენგიზ კობიაშვილის, ჯაბა მუჯირის, გიორგი ყიფიანის, გიორგი ქორიძის, ლევან მელქაძის და მათი თანაგუნდელების აქტიურობას მიზრახის, განონის, როსოს განსწავლულობა დაუპირისპირდა და სტუმართა დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. სახიფათო მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ქართველთა მოქმედებაში ჭარბობდა ქაოსი და მარტო სურვილმა რაღაცის შექმნისა, ნაყოფი ვერ გამოიღო. მაშინ, როცა სტუმართა თითქმის ყოველი შეტევა მასპინძელთა კართან ხიფათს ქმნიდა. საბოლოო სტატისტიკაც ულმობელია: 5 შეტევა — 3 გოლი. ჯოვანი როსო მართლაც ლიდერად მოგვევლინა. მან მატჩის მიწურულს გოლიც გაიტანა, მანამდე კი გოლით დასრულებული კომბინაცია წამოიწყო პირველ ტაიმში. ვიტელთაგან ყიფიანს გამოარჩევდა კაცი, მაგრამ მატჩის გაძღოლის მაგიერ ის უფრო ფლანგებზე მოქმედებდა, რასაც სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. მან პირველი ტაიმის ბოლოს კარგად კი დაარტყა, მაგრამ სტუმრები ძელმა იხსნა.

მეორე ნახევარი „ვიტ-ჯორჯიამ" აქტიურად დაიწყო, მატჩის შუალედში კი განონის გოლმა სტუმარმასპინძლობას ზღვარი დაუდო. „ბეითარმა" პირველსავე მატჩში გადაწყვიტა წყვილში გამარჯვებულის ბედი. „ვიტ-ჯორჯიამ" კი ჯერ ბევრი უნდა ისწავლოს ბეითარის დარი გუნდის დამარცხება რომ შეძლოს. ამის წამალი კი დრო და ოსტატობის ამაღლებაა.

მიხეილ საბახტარიშვილი

სხვა მატჩები:

აკრანესი (ისლანდია) – გენტი (ბელგია) 0-3

სხეპენსი (32), პედერსენი (78), ოლკესკე (90)

ქიაფაზი (აზერბაიჯანი) – ანთალია (თურქეთი) 0-2

ხინალი (37), ანიელოვიჩი (52).

თამაშამდე წაგებული შეხვედრა

ბრატისლავა. **„ტეჰელნე პოლეს" სტადიონი. 10 აგვისტო. 20 გრადუსი.**

სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) – ლოკომოტივი (თბილისი, საქართველო) 2-0 (1-0)

სლოვანი: ბერნარდი, ტიმკო, ბალიში, მეტკო, პანჩიკი, იანჩულა, სერნარდი, ეჟეკი, მესაროში, ბერგი, მჩარი.

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ბურნაძე, (ბ. გონჩაროვი, 72), აბრამიძე, თოდუა, გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, ა. ჯელაძე (ხუროძე, 64), დავითაშვილი (ძოძუაშვილი, 70) გ. შენგელია, ლ. მიქაძე.

გოლები: 1-0 იანჩულა (38), 2-0 მჩარი (70, პენ.)

გაფრთხილება: ტიმკო, ბურნაძე, მიქაძე, შენგელია, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი: კამენ ალექსიევი (ბულგარეთი)

უეფას დელეგატი: ანდრეას აკელიდესი (კვიპროსი)

მასპინძლები — სტანისლავ იარაბეკის შეგირდები ამ მატჩს მშვენიერ გუნებაზე შეხვდნენ: მათ სლოვაკეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში სტუმრად 3-0 გაიმარჯვეს და სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვნად წინ წაიწიეს.

საფიქრალი იყო, რომ სტუმრებიც — თბილისელი რკინიგზელები, ფსიქოლოგიურად მომზადებულნი შეხვდებოდნენ ამ საპასუხისმგებლო შეხვედრას. ამის იმედს გუნდის ხელმძღვანელობისა და ფეხბურთელების ბოლოდროინდელი ინტერვიუებიც გვაძლევდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და, როგორც ქართულ საკლუბო გუნდებს ამ ბოლო დროს დასჩემდათ, მატჩი მსაჯის სასტარტო სასტვენამდე იქნა წაგებული.

მართალია, „ლოკომოტივმა" შედარებით აქტიურად დაიწყო თამაში, უმეტესად მარჯვენა ფლანგზე კახი გოგიჩაიშვილის სახიფათო გარღვევების მეშვეობით, მაგრამ მალე ისიც „დადგა" და მატჩის ბოლომდე სწორედ მასპინძლები იყვნენ მოედნის ბატონპატრონნი. სტუმრები კი ყრუ დაცვაში ჩადგნენ და ასეთ ტაქტიკას მათთვის სასურველი შედეგი არ მოუტანია.

„სლოვანმა" პირველსავე ტაიმში აიღო ლომაიას კარი, როცა ტიბორ იანჩულამ შეუფერხებლად მიიღო ბურთი „ლოკომოტივის" საჯარიმო მოედანში (აქ უხეში პოზიციური შეცდომა დაუშვეს სტუმართა გუნდის ცენტრალურმა მცველებმა) და თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. მერე კი, მეორე ტაიმში მასპინძლებმა, თერთმეტმეტრიანიც დაიმსახურეს, როცა მათი მორიგი შეტევისას ბურთს ბურნაძემ საჯარიმო მოედანში ხელით შეუცვალა მიმართულება.

იმედად ისღა გვრჩებოდა, „ლოკომოტივი" გადაეწყობოდა და დაცვითი ტაქტიკიდან აქტიურ თამაშს დაიწყებდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. უფრო მეტიც, ჩვენებმა კინაღამ მესამეც გაუშვეს.

განმეორებით შეხვედრაში, 24 აგვისტოს, რკინიგზელებს ძნელი ამოცანის გადაწყვეტა მოუწევთ, მაგრამ, იმასაც ვიტყვით, მდგომარეობა მთლად უიმედო არ უნდა იყოს.

მიაგეთ პატივი ჩემპიონებს და პრიზიორებს

რატომ და ვის სურს დაჯილდოების ცერემონიალის მიჩუმათება? — უკვირთ სფფ-ში

ფეხბურთში ყოველი ეროვნული ჩემპიონატის დასრულება ღირსსახსოვარი მოვლენაა ყველა ქვეყანაში და რჩეულთა საზეიმო ელფერით დასაჯილდოებლად ყველგან ყველაფერი კეთდება. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს ღონისძიება ფეხბურთის პროპაგანდის განუყოფელი ნაწილია, სტიმულს აძლევს მომდევნო ჩემპიონატს, მის მონაწილეებს, გულშემატკივრებს.

ჩვენში ვერა და ვერ დამკვიდრდა ღირსეულთა სადღესასწაულოდ დაჯილდოების ტრადიცია. მიჩუმათებულად, ათეული მაყურებლის თვალწინ კი ჩემპიონატის მედლების გადაცემა, არაფრისმთქმელია, ფეხბურთის პროპაგანდას არაფერს სძენს, აბუჩად აგდებაა.

ვინ უნდა იზრუნოს ამ ტრადიციის დამკვიდრებაზე, ბოლოს და ბოლოს ჩემპიონი და პრიზიორი გუნდების საპატიო ატმოსფეროში დაჯილდოება ვისი საზრუნავია? სფფ ამ კითხვაზე არაორაზროვნად პასუხობს, ამბობენ, რომ მათი საქმეა მედლების და შესაბამისი დიპლომების დამზადება და დაჯილდოება, მაგრამ თუ სად და როდის, როგორ ვითარებაში, ეს თვით კლუბის გადასაწყვეტია. საქმე იქამდეც მივიდა, რომ სფფ-ში, მიუხედავად არაერთი შეხსენებისა, ჯერჯერობით არც ერთ კლუბს არ წარუდგენია დაჯილდოებისა და დამჯილდოებელთა მიწვევის თარიღი. არ შეიძლება, როცა ჩემპიონი და პრიზიორი გუნდები კალენდარულ მატჩს თბილისში ითამაშებენ, აქ გადასცენ მედლები. ეს იქნება საკუთარი მაყურებლის, ქალაქის თუ რაიონის უპატივცემლობა. არადა, ნამდვილად საოცარია, ქუთაისს განა რა გაუჭირდა ისეთი, სტადიონზე თუ არა, თეატრში მაინც შეკრიბოს ხალხი, შთამბეჭდავი სცენარით ჩატარდეს ჩემპიონი გუნდისადმი პატივმიგების ცერემონიალი, გადაიღონ ვიდეოფირზე ქუთაისის ფეხბურთის ისტორიაში ეს პირველი ღირსსახსოვარი მოვლენა, შემდეგ კი ტელევიზიით იხილოს მთელმა ქვეყანამ. შეიძლება, ყველაფერი შეიძლება და გულსატკენია ჩვენი ხალხის უსაყვარლეს სპორტის სახეობას და ეროვნულ ჩემპიონატს, რჩეულთა დაჯილდოებას ასე ინდიფერენტულად რომ ვეკიდებით.

როგორც სფფ-ში გვითხრეს, დრო ჯერ კიდევ არის...

მიმომხილველი

სპორტის მოძულების ტენდენციები საქართველოში!

საქართველოში სპორტის მოძულების ტენდენციებმა ფესვები ღრმად გაიდგა აგრეთვე სპორტთან კავშირში მყოფმა მეცნიერებათა ცალკეულმა მიმართულებებმა. უკვე მოდის სპორტსმენთა ის თაობა, რომელმაც არ იცის რა არის და რა შესაძლებლობები გააჩნია სპორტულ მედიცინას, სპორტულ ფსიქოლოგიას, სპორტულ ფიზიოლოგიას და ა.შ. ამ საგნებს სტუდენტებს, მართალია, ასწავლიან, მაგრამ გამოყენების არანაირი პერსპექტივა არ არსებობს, ჯერჯეროებით მაინც.

იმ სისტემას, რომელიც ათეულობით წლის წინათ შეიქმნა მეცნიერებასა და სპორტის ურთიერთობაში, ბოლო ათწლეულში საერთოდ გადაესვა ხაზი. არადა, ადრე ე.წ. კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფები (КНГ) წარმატებით იკვლევდა, თანაც კომპლექსურად, სპორტსმენთა ფუნქციონალურ მდგომარეობას, ფსიქოლოგების დასკვნის საფუძველზე კი იქმნებოდა სპორტსმენის სრული პორტრეტი, რაც დიდ დახმარებას უწევდა მწვრთნელებს მუშაობაში. დღეს ყველაფერი უგულებელყოფილია და, პირდაპირ უნდა ითქვას, სხვა რომ არაფერი, გამორიცხული არაა სავალალო შედეგები მას შემდეგ, რაც დღევანდელი ათლეტები წავლენ დიდი სარბიელიდან. დღეს არათუ ყოველწლიური ორჯერადი ღრმა სამედიცინო შემოწმება (აღარაფერს ვამბობთ, სისტემატურ სამედიცინო კონტროლზე), არამედ, საერთოდ, ხელმიშვებულია ეს პროცესი. ექიმი გუნდში შეინარჩუნა მხოლოდ ფეხბურთმა და ჭიდაობამ. ჩვენ უკვე გავიარეთ მწარე გაკვეთილი ატლანტაში ოლიმპიადის წინ და თამაშის დღეებში. დაჟინებული მოთხოვნით, როგორც იქნა ამჯერად, სიდნეისთვის წინასაოლიმპიადო მზადების პროცესში მიზნობრივი პროგრამული თანხა გამოჰყო ჯანდაცვის სამინისტრომ. თუ რა სიკეთეს მოიტანს ეს ეპიზოდური შემწეობა, ძნელი სათქმელია, ერთი კია, როგორც იტყვიან, სულ არარაობას მაინც სჯობს.

იხ. მე-2 გვ.

SYDNEY 2000

ოლიმპიურ თამაშებს 35 დღე გვაშორებს

მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია, საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ბანკში გახსნა სპეციალური ანგარიში საქართველოს ოლიმპიელთა დასახმარებლად. ბანკის რეკვიზიტია: ბგბ მთაწმინდის ფილიალი. ა/ა №2700344, კოდი 220101666. სუბანგარიში 14700507 „ოლიმპიური თამაშები".

იხ. მე-2 გვ.

კადეტები ნახევარფინალში

ჩვენთვის ძალზე იშვიათობად იქცა ევროპაში საკვალიფიკაციო ტურნირებიდან გაღწევა. ამჯერად ამ სასიამოვნო გამონაკლისით საქართველოს კადეტ კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა გაგვახარა, რომელმაც ბრწყინვალედ განვლო ბულგარეთის ქალაქ რაზგრადში კონტინენტის პირველობის შესარჩევი ტურნირი. აქ მათ ყველა შეხვედრა, მათ შორის ასპარეზობის მასპინძლებთან თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს.

სასტარტო შეხვედრაში ჩვენმა ბიჭებმა იტალიის ნაკრებს სძლიეს — 95:68, შემდეგ აჯობეს უნგრელებს — 68:39, მოუგეს ისრაელს — 86:59 და ბოლოს თვით ბულგარელ თანატოლებს — 96:61.

ჩვენი ნაკრები უკვე დაბრუნდა თბილისში და ახლა ინტენსიურ მზადებას შეუდგება ნახევარფინალისთვის, სადაც მათ დამაჯერებლად და დამსახურებულად მოიპოვეს თამაშის უფლება.

ჭაბუკმა წყალბურთელებმა ფინალურ ეტაპზე წაიფორხილეს

ალბათ მეტი არც იყო მოსალოდნელი ან რატომ უნდა გვქონოდა წარმატების იმედი, როცა ამ გუნდის ყოველი გამგზავრება შეჯიბრებაზე, უსახსრობის გამო, პერმანენტულ ნერვიულობასთანაა დაკავშირებული. ფინალურ ეტაპზე ჩვენი გუნდის გასვლა უკვე დიდი წარმატება იყო, ახლა კი სამივე მატჩი დათმეს ერთმანეთის მიყოლებით იუგოსლავიასთან, გერმანელ და ფრანგ თანატოლებთან. ამის შემდეგ ისინი იმ ჯგუფში იასპარეზებენ, სადაც IX-XVI ადგილები განაწილდება. ვფიქრობთ, მათთვის, ევროპაში IX-XII ადგილზე გასვლაც საპატიო იქნება.

14 აგვისტოს, 14.00 საათზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის (ი. ჭავჭავაძის 49) სააქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. უეფას რეკომენდაციის საფუძველზე სფფ-ს აპარატის ახალი სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: მ. ჟორდანია).
2. ინფორმაცია სფფ-ს დელეგაციის, უეფას 25-ე და ფიფას 52-ე კონგრესში მონაწილეობის შესახებ (მომხსენებელი: მ. ჟორდანია.)
3. საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული (21- წლამდე) ნაკრებების 2002 წლის მსოფლიოსა და ევროპის შესარჩევ მატჩებში წარმატებული გამოსვლის შემთხვევაში პრემირების სისტემის შესახებ (მომხსენებელი: ვ. ჩოლარია).
4. საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატისა და თასის X გათამაშების შედეგებისა და 2000/2001 წწ. XII ჩემპიონატისა და თასის XI გათამაშების ამოცანების შესახებ (მომხსენებელი: გ. ფირცხალავა.)
5. საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატისა და თასის X გათამაშების მსაჯობისა და 2000/2001 წწ. XII ჩემპიონატისა და თასის XI გათამაშების ამოცანების შესახებ (მომხსენებელი: ა. მილჩენკო.)
6. სხვადასხვა.

სპორტის მოძულების ტენდენციები საქართველოში!

პირველი გვერდიდან

თბილისში დღემდე შემორჩა „სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის" ცენტრი, მაგრამ იმის გამო, რომ სპორტული ორგანიზაციები განიცდიან ფინანსურ ხელმოკლეობას, სამედიცინო მომსახურება კი ახლა ჩვენში ფასიანია, ეს ცენტრი თავისი საუკეთესო სპეციალისტებით, მინიმალურადაც არაა დატვირთული, რაც განაპირობებს კიდეც მათ უხელფასობას.

სპორტული მედიცინის შესაძლებლობების გამოუყენებლობის შემდეგ, ყველაზე ძვირად ალბათ გვიჯდება მაღალი მიღწევების სპორტიდან ანუ ნაკრები გუნდებიდან სპორტულ ფსიქოლოგთა გაძევება. თუმცა ამ სპეციალისტებს ბევრი არც ადრე სწყალობდა, თუ არ ჩავთვლით ზემოხსენებულ კომპლექსურ სამეცნიერო ჯგუფში მათ აუცილებელ მონაწილეობას. ისე, ფსიქოლოგი, თუნდაც ერთი, ალბათ ქვეყნის სპორტულ დელეგაციაშიც სასურველია იყოს დიდ სპორტულ ფორუმებზე, როგორც ეს ბევრგანაა. გავიხსენოთ ისევ ატლანტა. ხახალეიშვილისა და სასწორის ამბავმა, მაშინ, კარგად გვახსოვს, პირდაპირ შოკში ჩააგდო მთელი დელეგაცია. სინანულმა, წუხილმა, სტრესმა დათრგუნა დელეგაციის თითოეული წევრიც. სხვები კიდევ არაფერი, თვით სპორტსმენებზე იმოქმედა უარყოფითად, რომლებიც ჯერაც არ იყვნენ ჩართული შეჯიბრებებში. წინასასტარტო უარყოფითი ემოციები კი რას ნიშნავს, მწვრთნელებმა ჩინებულად იციან. რაღა თქმა უნდა, ეს ყველაზე უკეთ იცის ფსიქოლოგმა, რომლის როლისა და ფუნქციის დაფასებამდე ვერა და ვერ ავმაღლდით. არ ვგულისხმობ სპორტის ფუნქციონერებს, მათ ჩინებულად იციან, რომ ეს საჭიროა, მაგრამ მიდი და დაუმტკიცე ზემდგომს, რომ ფსიქოლოგისთვის დამატებითი ხარჯებია გამოსაყოფი. ვერ დაუმტკიცებ.

ისევ მედიცინას დავუბრუნდეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ იქ, სადაც ყველაზე მეტად აუცილებელი და მნიშვნელოვანია სამედიცინო კონტროლი, უპირველესად ვგულისხმობთ სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებს, საერთოდ აღარ ეთმობა ჯანდაცვის მუშაკთა ყურადღება. განსაკუთრებით საშიში ხდება ხერხემლის გამრუდების ზრდის ტენდენცია მოზარდებში, როგორც ჩანს, არა თუ სპორტი, მისი პროფილაქტიკური და სამკურნალო მნიშვნელობაც მოვიძულეთ...

თენგიზ გაჩეჩილაძე

გაგრძელება იქნება

დასაწყისი იხ. „ლელო" №55-61

სპორტი თბილისის მერიის ყურადღების ცენტრში

ოპერატიულ ტრადიციულ თათბირზე, რომელიც ყოველი კვირის დასაწყისში თბილისის მერის ვანო ზოდელავას და ქალაქის პრემიერის გია შარაძის ხელმძღვანელობით ტარდება, ითქვა, რომ „ქალაქმა დიდი პასუხისმგებლობა აიღო. დედაქალაქის ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს თბილისის მეტროპოლიტენი, ომისა და შრომის ვეტერანების უფასო მგზავრობა, კულტურა, განათლება, სპორტის, ჯანმრთელობის გარკვეული ობიექტები"...

მერიის ხელმძღვანელობის სიტყვა ყოველთვის საქმიანია.

* * *

ამონაწერი ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებიდან ქ. თბილისის 2000 წლის ბიუჯეტის შესახებ: „2000 წლის 1 აგვისტოდან ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებიდან ქ. თბილისის ბიუჯეტის დაფინანსებაზე გადმოცემულ იქნას განათლების, კულტურის, **სპორტის**, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, აგრეთვე ვეტერანთა და ლტოლვილთა და სხვა მომსახურებასთან დაკავშირებული დაწესებულებები და ღონისძიებები 10169,4 ათასი ლარის ოდენობით".

მილოცვა



ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვეტერან ფალავანს, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის სათათბიროს საკოორდინაციო საბჭოს წევრს, საქართველოს შს სამმართველოს ვიცე-პოლკოვნიკს **ავთანდილ სიხარულიძეს**.

...და თქვა მიხეილ სააკაშვილმა: „აქ სახლი არ აშენდება" და დაუკრა კვერი ქალაქის პრემიერმა გია შერაძემ

ვაკის საცურაო აუზის წინ საცხოვრებელი კორპუსის ჩადგმის ამბავი, მეხივით გასკდა თბილისში. ამ პრესტიჟულ უბანში დასახლების მსურველებს, რომლებსაც „ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად", გუშინდელი საღამოს შემდეგ, ვფიქრობთ, მადა სამუდამოდ წაუხდათ და თავის აივნიდან, ზემოდან ამაყად ვეღარ გადმოხედავენ საცურაო აუზს, რომლის ამუშავების ნაცვლად მისმა აქციონერებმა, აქ საცხოვრებელი სახლის ჩადგმა გადაწყვიტეს. ცხადია, სპორტული ბაზის ბედი მათ სულაც არ აწუხებთ.

მოსახლეობის თხოვნით, გუშინ აქ დედაქალაქის ხელმძღვანელებთან და ვაკის რაიონიდან პარლამენტის დეპუტატ მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ქალაქის მთავარი არქიტექტორიც მოვიდა ხალხის აზრის გასაზიარებლად. მოსახლეობას კი არც ამჯერად დაუფარავს მრისხანება და გულისწყრომა. არ ვაჭარბებთ, მრისხანება იმიტომ, რომ ისინი მზად არიან, თუნდაც „ბალავერში ჩაწოლით" (მათი სიტყვებია) წინ აღუდგნენ მადააშლილ მავანთა თავხედობას. „ნუ ნერვიულობთ, აქ სახლი არ აშენდება", ბრძანა მიხეილ სააკაშვილმა და ქალაქის პრემიერის გია შერაძის დასტურიც მიიღო.

შემდეგ სტუმრებმა „მონკავშირის" ზღაპრული ეზოც მოინახულეს, სადაც ასევე საცხოვრებელი კორპუსის ჩადგმა მოუწადინებიათ, მაგრამ ამდენ ხმაურს ნებართვის გამცემთა ყურამდეც მიუღწევია და გადაწყვეტილების გამოტანა „დაუბლოკავთ".

ოლიმპიური თამაშების წინ

ძიუდოისტებს მზადების პრობლემები მოეხსნათ

სიდნეიში გამგზავრებამდე შეკრებები ბაკურიანში, ბაზალეთზე, ქობულეთში...

სიდნეიში ოლიმპიადის წინ ქართველი ძიუდოისტები, საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის, ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ხაბარელის ხელმძღვანელობით ბაკურიანში გადიოდა საწვრთნელ შეკრებას. გთავაზობთ „ლელოს" კორესპონდენტის ინტერვიუს ნაკრების უფროს მწვრთნელთან შოთა ხაბარელთან.

● ***ბატონო შოთა! სიდნეის ოლიმპიადა რითი იქნება თქვენთვის გამორჩეული?***

— ალბათ უპირველესად იმით, რომ პირველად მივდივარ ოლიმპიადაზე, როგორც საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი. ძალიან საპასუხისმგებლო მისია მაკისრია. საბჭოთა კავშირის ნაკრებში, როგორც რიგითი მწვრთნელი, ბევრჯერ ვყოფილვარ ოლიმპიადაზე, მაგრამ ახლა სულ სხვაა. უნდა გავამართლოთ ის იმედები, რასაც ჩვენზე ამყარებენ.

● ***მოსკოვის ოლიმპიადა, 1980 წლის აგვისტო, შოთა ხაბარელი, ოლიმპიადის ჩემპიონი, რიგით მეორე ქართველი ოლიმპიელი ძიუდოისტი (შოთა ჩოჩიშვილის შემდეგ), ზღვა სიხარული, უამრავი გულშემატკივრის ალტაცება, ყველაფერი ბევრ ჩვენგანს გუშინდელივით ახსოვს, მას შემდეგ ზუსტად 20 წელიწადი გავიდა...***

— დიახ, ზუსტად 20 წელიწადი. ამ პერიოდში ოლიმპიურ სამყაროს კიდევ ერთი ქართველი ძიუდოისტი დავით ხახალეიშვილი შეემატა. ახლა ჩვენი ჯერია, ქართველ რჩეულ ოლიმპიელთა რიცხვი უნდა გავზარდოთ. როგორც ყოველთვის, ამ თამაშებს პირველები ჩვენ, ძიუდოისტები ვიწყებთ, 15 სექტემბერს თამაშები საზეიმოდ გაიხსნება. 16-ში ჩვენ ტატამზე გავალთ.

● ***ვინ დაიცავს საქართველოს ღირსებას ოლიმპიადაზე?***

— სულ 8 ლიცენზიაა მოპოვებული. ერთ წონაში **(90 კგ)** გიორგი გუგავა და ავთანდილ ზვიადაური გაგვყავს. სიდნეიში გუგავა გაემგზავრება.

იგივე სიტუაციაა **მძიმე წონაშიც,** რამაზ ჩოჩიშვილსა და ალექსანდრე დავითაშვილს შორის არჩევანი შეჩერდა დავითაშვილზე.

60 კგ-ში 25 წლის მესტიელი ნესტორ ხერგიანი გამოვა. იგი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორია. მას მწვრთნელთა ტანდემი ანზორ მარგველიანი და მე ვავარჯიშებთ.

66 კგ-ში — 25 წლის გორელი გიორგი ვაზაგაშვილი — მსოფლიოს მრავალგზის პრიზიორი და ევროპის ორგზის ჩემპიონია. მწვრთნელები: ქართლოს პავლიაშვილი და ბერდია გუგავა.

73 კგ-ში 25 წლის საგარეჯოელი გიორგი რევაზიშვილი იასპარეზებს. იგი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს მრავალგზის პრიზიორია. მწვრთნელი — მიხეილ ქურხული.

76 კგ-ში 23 წლის დუშეთელი ივერი ჯიქურაული ევროპის მრავალგზის პრიზიორია, მწვრთნელი — ბიძინა მოხევიშვილი.

90 კგ-ში 22 წლის თბილისელი გიორგი გუგავა ევროპის ჩემპიონია ახალგაზრდებში, დიდ საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულია. მწვრთნელები: ამირან ქელეხსაშვილი და გურამ გუგავა.

მძიმე წონაში — 25 წლის ახმეტელი ალექსანდრე დავითაშვილი, ევროპის მრავალგზის პრიზიორია. მწვრთნელები: ჯემალ ნათელაშვილი და ტარიელ შათირიშთილი.

● ***მზადების როგორი პირობები გქონდათ ბაკურიანში, კმაყოფილი ხართ?***

— პირობები მართლაც საუცხოო შეგვიქმნეს სასტუმრო „აპოლონში". ბატონმა ოთარ გოცირიძემ, როგორც ყოფილმა სპორტსმენმა და მწვრთნელმა, ყველაფერი გააკეთა, რომ არანაირი პრობლემა არ შეგვქმნოდა. ძალიან კმაყოფილები ვართ. დრო ძირითადად საერთო ფიზიკურ მომზადებას დავუთმეთ, თუმცა ამ ორ კვირაში სკოლის დარბაზში ლეიბზეც ვივარჯიშეთ. ეგ კია, სიცხეებმა ჩვენც შეგვაწუხა. ბაკურიანის შემდეგ ბაზალეთში, მერე კი ქობულეთში განვაგრძნობთ მომზადებას.

● ***ამ რთულ ეკონომიკურ ვითარებაში ვინ დაგაფინანსათ?***

— სახელმწიფომ დაგვაფინანსა (ჩვენ ხომ ქვეყნის ინტერესების დასაცავად მივდივართ სიდნეიში), გარკვეული შეღავათები გაგვიწიეს სასტუმრო „აპოლონის" მესვეურებმა.

● ***ვინ არის ლიდერი ჩვენს გუნდში?***

— ლიდერი ყველასათვის ცნობილი გიორგი ვაზაგაშვილია, იგივე ითქმის რევაზიშვილზეც.

ვაზაგაშვილის წონაში ძალიან ძლიერი შემადგენლობა იასპარეზებს. ვფიქრობთ, ვაზაგაშვილი ყოველგვარ სიძნელეს გადალახავს და სიდნეიში თავის სიტყვას იტყვის. იგი წინა ოლიმპიადის მონაწილეა და საკმაო გამოცდილება აქვს. ასეთივე გამოცდილება გიორგი რევაზიშვილსაც აქვს...

● ***ვის თვლით ძირითად კონკურენტებად?***

— ფრანგებს და იაპონელებს. კორეასაც დიდი შანსი აქვს. უკანასკნელ ხანს ორი-სამი ოქრო აქვს მსოფლიოში მოპოვებული. ბრძოლები ნამდვილად მძაფრი იქნება.

სოფიკო ხეთაგაშვილი,
ბაკურიანი

? შეკითხვა „ლელოს"

შეკითხვა: თუ შეგიძლიათ დაგვისახელოთ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტის სამი სახეობა?

თორნიკე ცოტაძე, თბილისი.

პასუხი: სპორტის ამა თუ იმ სახეობის პოპულარობის კონკრეტული წესი არაა შემუშავებული. სხვადასხვა ქვეყანაში სპორტის სახეობათა პოპულარობა მისი მასობრიობით განისაზღვრება. ალბათ ეს კრიტერიუმია მისაღები ზოგადადაც. ოფიციალურ შეფასებად, შეიძლება, ალბათ, მაინც ჩაითვალოს თუ რამდენი ქვეყანაა გაერთიანებული საერთაშორისო ფედერაციაში. ამ ნიშნით ჩვენს პლანეტაზე ყველაზე მასობრივი და პოპულარულია მძლეოსნობა. იაafi 212 წევრ ქვეყანას ითვლის, ფიფა — 204-ს, შემდეგ მოდის ჭადრაკი — 157. ახლა ფიდეს წევრობაზე კიდევ 20 ქვეყანას ჰქონია შეტანილი განაცხადი.

ოლიმპიზმი

ტერორი არ გაჭაჭანდება

სიდნეის ქალაქის მამები ამთავითვე სათანადო ზომებს მიმართავენ ოლიმპიური თამაშების დღეებში მონაწილეთა და სტუმრების სრული უსაფრთხოებისათვის. ბოლო ხანებში იძულებით დაატოვებინეს ქვეყანა ხუთ კაცს, რომელთაც, პოლიციის აზრით, უშუალო კავშირი ჰქონდათ საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან. ექვსი ეჭვმიტანილი კი საერთაშორისო სადაზვერვო სამსახურის მეთვალყურეობის შედეგად დააკავეს ავსტრალიაში მიმავალ გემზე ასვლის მცდელობისას.

მწვანე კონტინენტის ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელთა განცხადებით, საერთაშორისო ტერორისტების ყოველგვარი აქტიური გამოხდომა ავსტრალიის ტერიტორიაზე საერთოდ, იშვიათობას წარმოადგენს. ამიტომ ყველა ზემოხსენებულმა პირებმა ქვეყანაში ერთი მიზნით შეაღწიეს — ოლიმპიადის დროს ტერაქტების ჩატარებისათვის.

ავსტრალიელები ქვეყნიდან აძევებენ ოდნავ ეჭვმიტანილებსაც.

მისწერეთ თქვენს კერპებს მისამართით:

სიდნეი, ოლიმპიური სოფელი

ამ დღეებში კომპანია **CBM**-მ და XXVII ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა **fanmail**-ის სამსახურის პრეზენტაცია გამართეს, რომლის საშუალებითაც მსოფლიოს ნებისმიერ გულშემატკივარს შეუძლია 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე წერილი მისწეროს თავის კერპ-ოლიმპიელს. დამმუშავებულთა ჩანაფიქრით, სისტემას მოქმედების დღეებში მილიონამდე გზავნილის მიღება შეუძლია.

მსგავსი სერვისი პირველად შემოიღეს ოლიმპიადა-96-ზე ატლანტაში და უაღრესად პოპულარული გამოდგა. საერთო ჯამში 100 000 წერილი გაიგზავნა. სიდნეის ოლიმპიურ პარკში 60 კომპიუტერი დაიდგმება, თამაშების მონაწილეებს შეეძლებათ 28 ენაზე გაგზავნონ ელექტრონული ფოსტა. გულშემატკივრებს ვთავაზობთ შესაბამისი საიტის მისამართს: **WWW.fanmail.Olimpic idm. com.**

კუბის პრესა ფარდას ხდის აშშ-სა და რუსეთის შეთქმულებას თავისუფლების კუნძულის მოკრივეთა წინააღმდეგ

ამე დაასათაურა **AFP**-მ თავისი შეტყობინება ჰავანიდან. ამასთან, სააგენტოების კორესპონდენტებს მოაქვთ ადგილები გაზეთ **Granma**-ში გამოქვეყნებული წერილიდან, რომ სიდნეიში მოკრივეთა ტურნირი „უმძიმესი იქნება ისტორიაში კუბელებისათვის". ვინაიდან, თითქოს მის წინააღმდეგ არსებობს შეთქმულება აშშ-სა და რუსეთის თაოსნობით, რომლებიც ყველა ღონეს მიმართავენ, რათა ბოლო მოეღოს კუბის ჰეგემონიას კრივში. ამის საფუძვლად მიიჩნევენ იმას, რომ თურმე აშშ და რუსეთმა მოილაპარაკეს, სიდნეიმდე არ მისცენ თავიანთ საუკეთესო მოკრივეებს პროფესიონალებში გადასვლის უფლება. კუბელებს კი ეს სურთ, ვინაიდან ბოლო ხანებში ამერიკელი და რუსი ოსტატები ხშირად ამარცხებენ თავისუფლების კუნძულის მოკრივეებს. ამიტომ კუბელების სურვილია სიდნეის რინგზე სუსტ მეტოქეებს შეხვდნენ.

ნიგერიელთა წინააღმდეგ

ამას წინათ ვიტყობინებოდით, რომ ინგლისური პრემიერლიგის კლუბების მესვეურებმა პირი შეკრეს და სიდნეიში, ოლიმპიურ თამაშებში სასპარეზოდ არ უშვებენ ნიგერიელ ფეხბურთელებს. ამასთან დაკავშირებით, ახლაც მიმდინარეობს მოლაპარაკება ფიფასა და სეოკ-ს შორის, თუმცა, ჯერჯერობით, უშედეგოდ.

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, გერმანიის ბუნდესლიგის კლუბებსაც გადაუწყვეტიათ არ გაუშვან ნიგერიელები ავსტრალიაში. სახელდობრ, „ვოლფსბურგის" მესვეურებმა საგანგებოდ დაიბარეს გუნდის საუკეთესო ფორვარდი ჯონათან აკპობორი და გამოუცხადეს თავისი გადაწყვეტილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

16 წლამდელთა ნაკრები პალანგას გაემგზავრება

13 აგვისტოს მოსკოვში ჩავა და იქიდან ლიტვაში გაფრინდება საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები, რომელიც პალანგის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. ქართველთა 22-კაციან დელეგაციაში 18 ფეხბურთელია. აი ისინიც:

მეკარეები: მიხეილ მუჯრიშვილი (ვაკე-91), ცოტნე გერგედავა (თ. სულაქველიძის აკადემია), ირაკლი თოთლაძე (დინამო, ბთ.); ***მცველები:*** ზურაბ ექონია, ლაშა ჭელიძე, ალექსანდრე ბელელური (ყველა — თ. სულაქველიძის აკადემია), გიგლა ახალაია (მერანი-91), დავით თავზარაშვილი (ვაკე-91); ***ნახევარმცველები:*** იოსებ ქარსელაძე, ირაკლი მალიჩავა, ვასილ ერემეიშვილი (ყველა — თ.სულაქველიძის აკადემია), კონსტანტინე დარსანია (მერანი-91), დავით ჭიღლაძე (მთვარის გლობუსი); ***თავდამსხმელები:*** ოთარ მარცვალაძე, გივი ბურჯანაძე (ორივე თ. სულაქველაძის აკადემია), ირაკლი მაჭავარიანი (მერანი-91), ირაკლი მოდებაძე, პაატა ჩოხელი (ორივე — „ოლიმპიკი").

ნაკრები ტურნირში 16 აგვისტოს ჩაებმება და 6 დღეში თანმიმდევრულად მოლდოვის, რუსეთის, ლიტვის ორ ნაკრებს, ლატვიის და ესტონეთის გუნდებს შეხვდება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის
განცხადება

XII ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და I ლიგის მატჩების მომსახურე მსაჯებისა და ინსპექტორების საყურადღებოდ!

მსაჯებისათვის ნორმატივების ჩაბარება ფიზიკურ მომზადებაში ჩატარდება ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 14 აგვისტოს დილის 9 საათიდან.

მსაჯებისათვის გამოცდა თეორიულ მომზადებაში ჩატარდება გლდანის ოლიმპიური რეზერვების სპორტულ სკოლა-ინტერნატში, 15 აგვისტოს, დილის 10 საათიდან. ინსპექტორებისთვის გამოცდა თეორიულ მომზადებაში ჩატარდება სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში 17 აგვისტოს დილის 11 საათიდან.

ყველა ზემოაღნიშნულმა პირებმა აუცილებელია წარმოადგინონ ჯანმრთელობის ცნობა, მსაჯებმა რეგიონებიდან, ამასთან, უნდა იქონიონ წარდგინებები. აღნიშნული საბუთების გარეშე გამოცდებზე არავინ დაიშვება.

რეგიონული ლიგის მსაჯებისა და ინსპექტორებისათვის საგამოცდო ვადები გამოცხადდება ლიმიტებით.

სატრანსფერო თანხა შეიცვალა

ბოლო ხანს გახშირდა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ სფფ გარკვეულ წილ თანხას იღებს ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ფეხბურთელის ტრანსფერიდან სფფ არც ერთ თეთრს არ იღებს.

მ.წ. 10 აგვისტოდან ძალაშია სფფ აღმასკომის მიერ დამტკიცებული ახალი რეგლამენტის 5.17 პუნქტი, რომლის თანახმად საერთაშორისო ტრანსფერისთვის დაწესებულია 1000 ლარი, ხოლო შიდა ტრანსფერისთვის — 100 ლარი. ეს არის ე.წ. მომსახურების თანხა, რომელიც ხმარდება სატელეფონო საუბრებს, ფაქსებს, კომპიუტერით და სპეცფოსტის მომსახურებას, დოკუმენტაციის შედგენას და ა.შ. რაც ფეხბურთელის ტრანსფერის განხორციელებისას იხარჯება.

ცნობისათვის: აღნიშნული გადასახადი ყველა ქვეყანაშია დაწესებული. მაგალითად, რუსეთსა და უკრაინაში იგი 1000 დოლარს აღწევს, თურქეთში კი ფედერაცია სულაც ტრანსფერის გარკვეულ პროცენტს იტოვებს. მაგალითისათვის ქართველი ფეხბურთელის გიორგი კიკნაძის ტრანსფერი გამოდგება, რაშიაც თურქეთის ფედერაცია 15 ათასს აშშ დოლარს ითხოვს.

მამუკა კვარაცხელია, სფფ-ს პრეს-ატაშე

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. გუნდების სავიზიტო ბარათები
«დინამო» (თბილისი)

პირველ სამ ჩემპიონატში გამოდიოდა „იბერიას" სახელით. თამაშებს ატარებს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. 1990 წლიდან თამაშობს ეროვნული ჩემპიონატის A ჯგუფში. 1990, 1991, 1992, 1993, 1994, 1995, 1996, 1997, 1998, 1999 წლების ჩემპიონი. ჩაატარა 333 მატჩი: 255 მოგება, 49 ფრე, 29 წაგება. ბურთების სხვაობა 1042-273.

1992, 1993, 1994, 1995, 1996, 1997 წლების ეროვნული თასის მფლობელი. რეკორდული მოგება: 11-0 (26.03.94 – „სამგურალთან", თასზე; 09.11.95 – „დურუჯთან").

რეკორდული წაგება: 1-5 (18.06.94 – „კოლხეთი-1913"-თან).

ყველაზე მეტი გოლი A ჯგუფში: ალექსანდრე იაშვილი – 84.

„დინამოს" შედეგები ეროვნულ ჩემპიონატებში

	ჯგ.	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	ადგ.
1990	A	34	24	6	4	91-23	78	1
1991	A	19	14	5	0	45-9	47	1
1991-92	A	38	27	6	5	115-41	87	1
1992-93	A	32	25	2	5	92-35	77	1
1993-94	A	38	31	1	6	130-45	94	1
1994-95	A	30	25	3	2	125-33	78	1
1995-96	A	30	25	4	1	109-16	79	1
1996-97	A	30	26	3	1	101-23	81	1
1997-98	A	30	24	4	2	86-15	71	1
1998-99	A	30	24	5	1	91-17	77	1
1299-2000	A	14	11	1	2	38-12	34	1
	A	14	5	9	0	19-4	41	3

შენიშვნა: 1997-98 წლების სეზონში დაკლებული აქვს 3 ქულა. 1999-2000 წლების ჩემპიონატი ჩატარდა ორ ეტაპად.

კლუბის პრეზიდენტი: მერაბ რატიანი

მთ. მწვრთნელი: რევაზ არველაძე

«დინამო» (ბათუმი)

პირველ ხუთ ჩემპიონატში გამოდიოდა „ბათუმის" სახელით. თამაშებს ატარებს ცენტრალურ სტადიონზე.

1990 წლიდან თამაშობს ეროვნული ჩემპიონატის A ჯგუფში. 1996 წლის მეორე და 1997 წლის მესამე პრიზიორი. ჩაატარა 333 მატჩი: 165 მოგება, 73 ფრე, 95 წაგება. ბურთების სხვაობა 610-354.

1998 წლის ეროვნული თასის მფლობელი და 1993, 1995, 1996, 1997 წლების ეროვნული თასის ფინალისტი.

რეკორდული მოგება: 11-0 (18.03.96 — „დურუჯთან")

რეკორდული წაგება: 0-5 (26.11.91 — „კოლხეთი-1913"-თან).

ყველაზე მეტი გოლი A ჯგუფში: პაატა მაჭუტაძე — 88.

„დინამოს" შედეგები ეროვნულ ჩემპიონატებში

	ჯგ.	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	ადგ.
1990	A	34	18	7	9	56-28	61	6
1991	A	19	10	2	7	28-21	32	5
1991-92	A	38	15	6	17	55-58	51	9
1992-93	A	32	11	6	15	56-56	39	11
1993-94	A	32	16	5	11	63-46	53	5
1994-95	A	30	16	6	8	69-40	54	4
1995-96	A	30	16	6	8	68-28	54	6
1996-97	A	30	18	8	4	71-22	62	3
1997-98	A	30	18	7	5	58-19	61	2
1998-99	A	30	13	11	6	49-22	50	5
1999-2000	A	14	6	7	1	15-4	25	2
	A	14	8	2	4	22-10	39	4

შენიშვნა: 1999-2000 წლების ჩემპიონატი ჩატარდა ორ ეტაპად.

მილჩენკო ჩემპიონთა ლიგაში

სფფ-ს სამსაჯო—საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ანატოლი მილჩენკო 23 აგვისტოს პრაღაში ჩემპიონთა ლიგის III საკვალიფიკაციო რაუნდის განმეორებით შეხვედრის ინსპექტორადაა მიწვეული ადგილობრივ სპარტასა და კიშინიოვის ზიმბრუს მატჩზე. მილჩენკოს, წლეულს, უკვე ჩემპიონთა ლიგის მეორე შეხვედრის გაძღოლას სთავაზობს უეფა.

ოთარ გუნთაძე ახალ ამპლუაში

ქართულ ფეხბურთში ფიფას არბიტრის ოთარ გუნთაძის სახელი კარგადაა ცნობილი. თავისი ხანგრძლივი სამსაჯო კარიერის მანძილზე მას არაერთი მნიშვნელოვანი მატჩი უმსაჯია საქართველოსა თუ მის გარეთ. ოთარის ავტორიტეტზე ნამსაჯი მატჩების რაოდენობაც კარგად მიუთითებს (ეროვნულ ჩემპიონატში – 165, თასზე – 36-ზე მეტი, 30-მდე ამხანაგური თუ ოფიციალური საერთაშორისო მატჩი). ოთარ გუნთაძე ქართული სამსაჯო სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. დღეს იგი ახალ ამპლუაში მოგვევლინა, ფეხბურთს და მსაჯობას არ ჩამოშორებია, უბრალოდ, მოღვაწეობის სფერო შეიცვალა.

● ***რა არის თქვენი სამსაჯო კარიერის დასრულების მიზეზი?***

— აქტიურ მსაჯობას თავს ვანებებ. ეს გადაწყვეტილება, რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, უპირველესად, ოჯახურმა მდგომარეობამ, აგრეთვე იმან, რომ ფეხბურთის განვითარებამ, თამაშის სისწრაფის მომატებამ მსაჯებისგანაც სწრაფი პროგრესი მოითხოვა, განსაკუთრებით ფიზიკურ მომზადებაში, რომელსაც, სამწუხაროდ, დღეს ვერ ვაკმაყოფილებ. ასაკი მსაჯობის გაგრძელების საშუალებას მაძლევს, მაგრამ ზემოთქმულიდან გამომდინარე, სათანადოდ ფიზიკურად ვერ მოვემზადე, არადა, ეროვნული ჩემპიონატი კარს მოგვადგა. არ მინდა სეზონს მოუმზადებელი შევხვდე და კოლეგებთან თავი უხერხულად ვიგრძნო.

● ***პროფესიონალი ბრძანდებით, თქვენი გამოცდილების ხელაღებით უარყოფა შეუძლებელია.***

— მადლობა მინდა მოვახსენო სფფ-ს ხელმძღვანელებს. მათ საშუალება მომცეს ჩემი 20-წლიანი სამსაჯო ცოდნა ფუჭად არ გაფლანგულიყო, ისევ ფეხბურთში დავრჩენილიყავი და, ვფიქრობ, ჩემი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა მსაჯებს აუცილებლად გამოადგებათ. მიხარია, რომ ფეხბურთი ისევ ჩემი ცხოვრების შემადგენელ ნაწილად რჩება. სამუშაო და გასაკეთებელი ბევრი იქნება. ვეცდები ცოდნაც გავიღრმავო და ჩემი გამოცდილებით ქართულ ფეხბურთს სარგებლობა მოვუტანო. ახლო მომავალში დაწვრილებით გაცნობებთ ჩემი ახალი სამსახურის შესახებ.

დარწმუნებული ვართ, ფიფას ერთ-ერთი პირველი ქართველი არბიტრის (1994 წლიდან) გამოცდილება ქართულ ფეხბურთს სასიკეთოდ წაადგება და მას ახალ საქმეშიც ისეთივე ავტორიტეტი ექნება, როგორც მსაჯობისას ჰქონდა.

საბა ლომინაძე

ხულ ახლახან, ოთარ გუნთაძე (წინა პლანზე, თეთრ მაისურში) სხვა მსაჯებთან ერთად ახალი სეზონისთვის ემზადებოდა, ახლა კი...

რეგიონული ლიგა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონული ლიგის გათამაშება მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყება. ქვემოთ ჩამოთვლილმა გუნდებმა წერილობითი თანხმობა წარმოადგინეს სფფ-ში, პირველობაში მონაწილეობის შესახებ.

დასავლეთის ზონა

1. სქური (წალენჯიხა)
2. კოლხეთი-2 (ფოთი)
3. სამეგრელო (ჩხოროწყუ)
4. დინამო-2 (ბათუმი)
5. ინტერი (ქუთაისი)
6. სულორი (ვანი)
7. მეშახტე (ტყიბული)
8. გურია-2 (ლანჩხუთი)
9. ლაზიკა (ზუგდიდი)
10. ფაზისი (ფოთი)
11. ჩელა (დარჩელი)
12. დინამო (სოხუმი)
13. სალხინო (მარტვილი)
14. ეგრისი (სენაკი)
15. მზიური-2 (გალი)

ალმოსავლეთის ზონა

1. დილა-2 (გორი)
2. ვიტ ჯორჯია (თბილისი)
3. შევარდენი (თბილისი)
4. მრეტები (თბილისი)
5. დინამო-2 (თბილისი)
6. ლოკომოტივი-3 (თბილისი)
7. ს. ა. იბერია (თბილისი)
8. შ.ს. აკადემია (თბილისი)
9. ზოოვეტი (თბილისი)
10. კავკასიონი (თბილისი)
11. ოლიმპიკი (თბილისი)
12. ცხუმი (სოხუმი)
13. ალაზანი (გურჯაანი)
14. ჭაბუკიანი (ჭაბუკიანი)
15. ამირანი (ოჩამჩირე)
16. სამგორი (გარდაბანი)
17. ვაკე-91 (თბილისი)
18. გორდა-2 (რუსთავი)

დასავლეთი

29 აგვისტო
1. სქური (წალენჯიხა) 10.00
2. სამეგრელო (ჩხოროწყუ) 12.00
2. ლაზიკა (ზუგდიდი) 14.00
4. ჩელა (დარჩელი) 16.00
5. კოლხეთი-2 (ფოთი 18.00

30 აგვისტო
1. ინტერი (ქუთაისი) 10.00
2. სულორი (ვანი) 12.00
3. მეშახტე (ტყიბული) 14.00
4. ფაზისი (ფოთი) 16.00
5. გურია-2 (ლანჩხუთი) 18.00

31 აგვისტო
1. დინამო-2 (ბათუმი) 10.00
2. დინამო (სოხუმი) 12.00
3. სალხინო (მარტვილი) 14.00
4. ეგრისი (სენაკი) 16.00
5. მზიური-2 (გალი) 18.00

ალმოსავლეთი

29 აგვისტო
1. ზოოვეტი (თბილისი) 10.00
2. ამირანი (ოჩამჩირე) 12.00
3. დინამო-2 (თბილისი) 14.00
4. მრეტები (თბილისი) 16.00
5. შევარდენი (თბილისი) 18.00

30 აგვისტო
1. ლოკომოტივი-3 (თბილისი) 10.00
2. ვიტ-ჯორჯია-2 (თბილისი) 12.00
3. დილა-2 (გორი) 14.00
4. ჭაბუკიანი (ჭაბუკიანი) 16.00
5. ს.ა იბერია (თბილისი) 18.00

31 აგვისტო
1. ოლიმპიკი (თბილისი) 10.00
2. ალაზანი (გურჯაანი) 12.00
3. შ.ს.ს აკადემია (თბილისი) 14.00
4. კავკასიონი (თბილისი) 16.00
5. ცხუმი (სოხუმი) 18.00

1 სექტემბერი
1. სამგორი (გარდაბანი) 10.00
2. ვაკე-91 (თბილისი) 12.00

ლევან კობიაშვილი:

შაბათს ვიწყებთ და პირველივე ტურში ძნელი თამაში გველის

გუშინ საღამოს გერმანულმა „ფრაიბურგმა“, სადაც სამი ქართველი ლეგიონერია — ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშვილი, — ბუნდესლიგის პირველობისწინა ბოლო ვარჯიში ჩაატარა და უკვე შაბათს, 12 აგვისტოს პირველ ტურში „შტუტგარტს“ მიიღებს. აი, რა გვითხრა წუხელ საღამოს **ლევან კობიაშვილმა:**

— ეს-ესაა ვარჯიშიდან დავბრუნდი. მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ საკმაო დატვირთვები მოგვცა. ხალისით ვირჯებოდით, თან სულ პირველ მეტოქეზე „შტუტგარტზე“ ვფიქრობდით. ძნელი თამაში გველის — მეტოქე მშვენიერ ფორმაშია: სამშაბათს, „ინტერტოტოს“ თასის ფინალში, გასვლით მატჩში, საფრანგეთის ერთ-ერთი წამყვანი გუნდი „ოსერი“ დაამარცხა ტიამისა და ბალაკოვის გოლების წყალობით. როგორც გაზეთები იტყობინებიან, „შტუტგარტის“ მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა მაღალი შეფასება მისცა თავისი შეგირდების მზადყოფნას და ისიც დასძინა, შემდეგ სეზონში ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთო. ეს მართლაც ასეა — გუნდში თამაშობენ ისეთი მაღალი კლასის ოსტატები, როგორებიცაა მაისნერი, ბლანკი, ჯორჯევიჩი, ბალაკოვი, შონ დანდი, კუკა. რაც შეეხება „ფრაიბურგს“, ძალიან ბევრი ფეხბურთელია ტრავმირებული — ჩვენი ლევან ცქიტიშვილი (მას სახსრების მოდუნება აწუხებს), ბრუნსი, რამდანე, კონდე. მიუხედავად ამისა, მოახლოებულ ჩემპიონატს ოპტიმისტურად ვხვდებით.

მაშ ასე, ბუნდესლიგა იწყებს!

UEFA
INTERTOTO
CUP

ინტერტოტოს თასი ფინალი. პირველი მატჩები

სელტა (ესპანეთი) – ზენიტი (რუსეთი) 2-1

0-1 ოგონინი (2), 1-1 კარპინი (22), 2-1 ხუანფრანი (90).

სიგმა (ჩეხეთი) – უდინეზე (იტალია) 2-2

1-0 მუხა (12), 2-0 კობარი (24, პენ.), 2-1 ვალენი (42), 2-2 სოსა (65).

ოსერი (საფრანგეთი) – შტუტგარტი (გერმანია) 0-2

ტიამი (18), ბალაკოვი (70, პენ.).



ცვლილებები თამაშის წესებში

1999 წლის 20 თებერვალს უელსში შედგა საერთაშორისო საფეხბურთო ასოციაციების საბჭოს 133-ე ყოველწლიური სხდომა. განიხილეს წესების შესწორებასთან დაკავშირებული საკითხები.

წესი 12. წესების დარღვევა და არაკორექტული საქციელი

ახალი გადაწყვეტილება — 6

საფეხბურთო მოედნის ნებისმიერ ადგილას სიმულიაცია, რომელიც არბიტრის მოსატყუებლად არის გამიზნული, დაისაჯოს ისევე, როგორც არასპორტული საქციელი.

მიზეზი: შემჩნეულია, რომ საკუთარი გუნდის სასარგებლოდ, სულ უფრო და უფრო მეტი მოთამაშეები ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ არბიტრი. ამგვარი ტენდენცია უნდა აღმოიფხვრას. ხოლო ასეთი საქციელის ჩამდენი მოთამაშის მიმართ გამოყენებული უნდა იქნას შესაბამისი სანქცია — გაფრთხილება.

მეოთხე მსაჯი

ახალი ფორმულირება... პუნქტი 6

მეოთხე მსაჯს უფლება აქვს შეამოწმოს სათადარიგო მოთამაშის ფორმა მათი მოედანზე გასვლის წინ. თუ ფორმა არ შეესაბამება დადგენილ ნორმას, ამის შესახებ უნდა აცნობოს არბიტრს.

ახალი პუნქტი — 7

მეოთხე მსაჯს უფლება აქვს მოახსენოს არბიტრს „ტექნიკურ ზონაში“ მყოფი ნებისმიერი პირის საქციელის შესახებ.

ასევე მის მოვალეობაში შედის ანიშნოს არბიტრს, თუკი მან შეცდომით აჩვენა ყვითელი (წითელი) ბარათი ფეხბურთელს, აგრეთვე თუ მოთამაშემ მიიღო მეორე ყვითელი ბარათი და არბიტრმა არ გააძევა იგი, ანიშნოს არბიტრს აგრესიული საქციელის შესახებ, რომელიც ვერ შეამჩნია არბიტრმა ან ასისტენტმა.

სხვა გადაწყვეტილებები

საერთაშორისო საბჭო აღნიშნავს, რომ თავდასხმა უკნიდან ხშირად დაუსჯელი რჩება. ამიტომ არბიტრებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქციელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არბიტრების მიმართ გამოყენებული იქნება შესაბამისი სანქციები.

ხშირად კარის აღების შემდეგ, ფეხბურთელები ზედმეტი ემოციურობით გამოხატავენ გოლის გატანისაგან გამოწვეულ სიხარულს, რაც გამოიხატება სათამაშო მოედნის დატოვებით, დამცავ ღობეზე ძრომით, ასევე მაისურის გახდით ან სხვა მსგავსით. ამ დროს აუცილებელია არბიტრმა ყველა ზომა იხმაროს, რათა მოთოკოს ფეხბურთელის ზედმეტი ემოცია და მიიღოს შესაბამისი სანქციები (გაფრთხილება), თუნდაც ეს ფეხბურთელისათვის იყოს მეორე ყვითელი ბარათი, რის შემდეგაც იგი გაძევებული უნდა იქნეს მოედნიდან.

ცირკულარული წერილი №710

ციურიხი, 27 მარტი, 2000 წ.

ცვლილებები თამაშის წესებში

წესი 1 — სათამაშო მოედანი

მიწაზე ტექნიკური ზონის ფარგლებში და გვერდითი ხაზიდან 1 მ-ის მოშორებით სათამაშო მოედნის გარეთა რეკლამის განთავსება დაშვებულია.

ასევე რეკლამა არ უნდა განთავსდეს კარში. კარის ხაზსა და კარის ბადეს შორის.

რეკლამის განთავსება მწვრთნელთა და სათადარიგო ფეხბურთელთა სკამის გადახურვაზე, ტექნიკურ ზონაში, აკრძალული არ არის.

ახალი გადაწყვეტილება 2:

თამაშის მსვლელობისას მწვრთნელს უფლება აქვს მოთამაშეებს მისცეს ტექნიკური ინსტრუქციები, ოღონდ, ამის შემდეგ, სწრაფად უნდა დაბრუნდეს თავის ადგილზე. მწვრთნელი და სათადარიგოთა სკამზე მყოფი ოფიციალური პირები ვალდებულნი არიან იმყოფებოდნენ ტექნიკური ზონის ფარგლებში და იქცეოდნენ კორექტულად.

წესი 6 — მსაჯის ასისტენტები

ახალი ტექსტი:

უდისციპლინო საქციელისას ან ნებისმიერი ინციდენტისას, რომელიც ხდება არბიტრის მხედველობის გარეთ, ხოლო ასისტენტები იმყოფებიან სათამაშო (ან სხვა) სიტუაციებთან უფრო ახლოს, ისინი ვალდებული არიან ყოველი მომხდარის შესახებ თავისი სიგნალით ანიშნონ არბიტრს ყველა დარღვევა (აქ იგულისხმება ის დარღვევებიც, რომლებიც ხდება საჯარიმო მოედნის ფარგლებში).

ასისტენტები ასევე უფრო გაბედულად ეხმარებიან არბიტრს, რათა მან შეხვედრა ჩაატაროს თამაშის წესების შესაბამისად. ასისტენტს უფლება აქვს შევიდეს სათამაშო მოედანში, რათა გააკონტროლოს 9,15 მ-ის დისტანციის დაცვა ფეხბურთელების მიერ.

მიზეზი:

აუცილებელია გაიგოთ, რომ კონკრეტული მანძილი დარღვევის ადგილიდან არ წარმოადგენს ძირითად კრიტერიუმს. აქ მთავარია — ასისტენტის უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში ყოფნა ინციდენტთან.

ასევე, ასისტენტებმა უნდა დააფიქსირონ, როცა მეკარე ადგილიდან იძვრის 11 მ-იანის დარტყმისას და ზუსტად აღნიშნონ გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი.

წესი 12. წესის დარღვევა და არაკორექტული საქციელი

თავისუფალი დარტყმის უფლება მიენიჭება მოწინააღმდეგეს, თუკი მეკარეს თავის საჯარიმო მოედანში ბურთი უჭირავს ხელში 6 წმ-ზე მეტ ხანს.

მიზეზი:

ეს ცვლილება ნიშნავს, რომ ახლა მეკარის მიერ დროის გაყვანა, როცა მას ბურთი უჭირავს ხელში იზომება არა მანძილით, ნაბიჯებით, არამედ დროით. (წესი უკვე აღარ ზღუდავს მეკარეს 4 ნაბიჯის გადადგმის გამო ბურთით ხელში). მას უფლება აქვს მაქსიმუმ 6 წმ-ის განმავლობაში ეჭიროს ბურთი ხელში, ამასთან, მას შეუძლია გააკეთოს იმდენი ნაბიჯი, რამდენიც სურს.

ახალი ტექსტი:

შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და მიუღებელი გამოთქმები ნებისმიერი პირის მიმართ, ისჯება გაძევებით;

მიზეზი:

ახლა მოთამაშე შეიძლება გაძევებულ იქნეს მოედნიდან, თუ არბიტრის აზრით, ის დაუშვებს უცენზურო გამოთქმებს ან ჟესტებს.

11 მ-იანი დარტყმები

ახალი პუნქტები:

როცა გუნდი თამაშს ამთავრებს მოთამაშეთა უფრო მეტი რადენობით, ვიდრე მოწინააღმდეგე, მან უნდა შეამციროს თავისი გუნდის მოთამაშეთა რიცხვი, რათა გაუთანაბრდეს მეტოქეს მოთამაშეთა რაოდენობას და აცნობოს არბიტრს იმ ფეხბურთელის (ფეხბურთელთა) გვარები და ნომრები, რომლებიც დატოვებენ მოედანს. ამის პასუხისმგებლობა ენიჭება კაპიტანს.

11 მ-იანების სერიის დაწყებამდე მსაჯი უნდა დარწმუნდეს, რომ მოედნის ცენტრალურ წრეში* დარჩა მოთამაშეთა ერთნაირი რაოდენობა და მხოლოდ ამის შემდეგ შეასრულებინოს 11 მ-იანი დარტყმები.

მიზეზი:

ეს წესი გამოიყენება მხოლოდ თამაშის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულის გამოსავლენად დანიშნული 11- მეტრიანი დარტყმების შესრულებისას, როცა ერთ-ერთ გუნდში არის მოთამაშეთა მეტი რაოდენობა, ვიდრე მეორეში გაძევებისა და ტრავმის გამო, როცა ყველა ნებადართული შეცვლა შესრულებულია.

ეს კეთდება იმ მოსაზრებით, რომ უმცირესობაში მყოფი გუნდის ყველა მოთამაშე შეასრულებს დარტყმას და უძლიერესი ბომბარდირი მიიღებს უპირატესობას, უფრო სუსტი ფეხბურთელის მიმართ.

ამის გარდა, საერთაშორისო საბჭომ გამოხატა თავისი გულისტკივილი, რადგან ფართოდ გავრცელდა შემთხვევები, როცა არბიტრები ზუსტად არ იცავენ თამაშის წესს 11 მ-იანის შესრულებისას. არბიტრი მზად უნდა იყოს ზომების მისაღებად მოთამაშის (მოთამაშეების) მიმართ, რომელიც 11-მ-იანის დარტყმამდე შერბის საჯარიმო მოედანში. წესების თანახმად ასეთ შემთხვევაში, აუცილებელი არ არის დამრღვევი ფეხბურთელის გაფრთხილება ყვითელი ბარათის ჩვენებით, მაგრამ არბიტრმა შესაბამის დროს უნდა მისცეს მითითება დარტყმის განმეორებით შესრულებაზე.

შენიშვნა: თამაშის წესების ეს ცვლილებები ძალაში შევიდა 2000 წლის 1 ივლისიდან.

მოსკოვში ფუტურო — II-ის კურსების (17.22.07.2000) განხილული საკითხები

თამაშის წესების რამდენიმე ასპექტი

წესი-1

კითხვა:* *როგორია კარის ძელების და მოედნის ხაზების ზომები?

პასუხი: კარის ძელების ზომებია — დიამეტრი 120 მმ. შესაბამისად ხაზის სიგანე არ უნდა აღემატებოდეს — 12 მმ-ს.

წესი-5; წესი-7.

კ: მსაჯმა მეორე ტაიმის ხანგრძლივობას დაუმატა 5 წუთი, რაც სპეციალური შუქფარით აჩვენა მაყურებელს და ფეხბრთელებს მე-4 არბიტრმა, ამის შემდეგ თამაში კიდევ იქნა შეჩერებული ტრავმის გამო — 2 წუთით. საჭიროა თუ არა კიდევ ერთხელ ამ დროის ჩვენება?

პ: ინფორმაცია დამატებითი დროის შესახებ თითოეულ ტაიმში დემონსტრირდება ერთხელ, იმისგან დამოუკიდებლად, რამდენი დრო დაიკარგება ამის შემდეგ. მაგრამ აქ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ არბიტრს უფლება არა აქვს შეამციროს მე-4 არბიტრის მიერ ნაჩვენები დრო. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია პროტესტი.

წესი-12.

კ: მოთამაშემ სწორედ უბიძგა მეტოქეს მხრით მხარში, მაგრამ ამ დროს ბურთი არ იმყოფებოდა სათამაშო მანძილზე. მსაჯის გადაწყვეტილება როგორი უნდა იყოს?

პ: დანიშნოს თავისუფალი დარტყმა.

კ: თამაშის დამთავრების შემდეგ მოედნის ცენტრში მოთამაშემ შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრს. მსაჯმა უნდა აჩვენოს თუ არა, წითელი (ყვითელი) ბარათი მოთამაშეს?

პ: ვინაიდან მოთამაშეს ყვითელი ან წითელი ბარათი არბიტრმა შეიძლება უჩვენოს მხოლოდ სათამაშო დროის განმავლობაში, ეს შემთხვევა კი მოხდა თამაშის დამთავრების შემდეგ, არბიტრმა ამ ინციდენტის შესახებ თამაშის ოქმის შესაბამის გრაფაში უნდა გააკეთოს ჩანაწერი და ამის შესახებ აცნობოს გუნდის წარმომადგენელს (კაპიტანს, მწვრთნელს).

კ: მოთამაშეს აქვს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა. მან დაარტყა ბურთი კარში ახლო მანძილიდან, მაგრამ მცველმა ხელით მოიგერია იგი, რომელსაც დაამატა მისმა პარტნიორმა და მეორე დარტყმით გაიტანა გოლი, მსაჯის გადაწყვეტილება?

პ: ჩათვალოს გოლი და მცველი გააფრთხილოს (ყვითელი ბარათი), მაგრამ ამ დროს მსაჯმა გამოიყენა რა უპირატესობის პრინციპი საჯარიმო მოედანში — გარკვეული რისკი გასწია. ხოლო თუკი ეს უპირატესობა გამოყენებული არ იქნება (3-4 წმ-ში), მაშინ მსაჯმა უნდა დანიშნოს 11 მ-იანი დარტყმა და მცველი გააძევოს მოედნიდან. არბიტრის ორივე გადაწყვეტილება მართებულია.

წესი-13.

კ. მსაჯმა დანიშნა ჯარიმა საჯარიმო მოედნის წინა ხაზთან ახლოს და დამრტყმელი გუნდის მოთამაშის თხოვნით, გაემართა „კედლის“ დასაყენებლად, გააფრთხილა რა იგი, რომ დარტყმა არ შეესრულებინა სასტვენამდე. თუმცა ფეხბურთელმა მსაჯის ნებართვის გარეშე მაინც დაარტყა ბურთი. მსაჯის გადაწყვეტილება, თუ:

ა) ბურთი ასცდა კარს

ბ) გავიდა კარში

გ) მეკარემ მოიგერია კუთხურზე

პ: უპირველესად არბიტრმა, შედეგის მიუხედავად, დამრტყმელი მოთამაშე უნდა გააფრთხილოს (ყვითელი) უდისციპლინო საქციელისათვის.

ა) თუ ბურთი ასცდა კარს დანიშნოს — კარიდან დარტყმა.

ბ) თუ ბურთი გავიდა კარში — დანიშნოს კარიდან დარტყმა

გ) თუ მეკარემ ბურთი მოიგერია კუთხურზე — დანიშნოს კუთხური

წესი-14

კ: თუ 11 მ-იანების სერიის დროს ერთ-ერთი გუნდის მოთამაშე გაძევებული იქნა მოედნიდან არბიტრის მიერ — ჩადენილი დანაშაულისათვის, ვალდებულია თუ არა მეტოქე თავისი გუნდიდანაც გაუშვას ფეხბურთელი მოედნიდან და 11 მ-იანები ორივე გუნდმა შეასრულოს მოთამაშეთა თანაბარი რაოდნობით?

პ: დიახ. აუცილებელია ორივე გუნდში იყოს მოთამაშეთა თანაბარი რაოდენობა.

კ: თუკი 11-მეტრიანების შესრულებისას მოთამაშე სისტემატურად (რამდენჯერმე) არღვევს წესს (დარტყმამდე შედის საჯარიმო მოედანში), როგორ უნდა მოიქცეს არბიტრი, რადგან ახალი წესით (ცვლილებით) ამ დარღვევისათვის მოთამაშის გაფრთხილება არ შეიძლება?

პ: ამ დროს მსაჯმა უნდა იხელმძღვანელოს პუნქტით „თამაშის წესების სისტემატური დარღვევა“ და გააფრთხილოს მოთამაშე ყვითელი ბარათით.

მეოთხე არბიტრი

კ: როგორ უნდა მოიქცეს მეოთხე არბიტრი, თუ მან შეამჩნია, რომ არბიტრმა შეცდომით გააფრთხილა სხვა მოთამაშე (მიიღო მეორე ყვითელი ბარათი და არბიტრმა იგი არ გააძევა, ან შენიშნა აგრესიული საქციელი მოთამაშის მხრიდან, რაც ვერ შენიშნა არბიტრმა და ასისტენტმა?)

პ: მეოთხე მსაჯმა ყოველივე დარღვევის შესახებ უნდა აცნობოს პირველ ასისტენტს, მან კი თავის მხრივ ანიშნოს არბიტრს. ამ დროს ყურადღებით უნდა იყოს მეორე ასისტენტიც, რათა დუბლირება გაუკეთოს პირველი ასისტენტის ნიშანს.

კ: როგორია არბიტრის ასისტენტებისა და მე-4 არბიტრის მოედნიდან გასვლის წესი თამაშის შემდეგ?

პ: რეკომენდირებულია თამაშის დამთავრების შემდეგ, მე-4 მსაჯი გაჰყვეს გასახდელში ფეხბურთელებს უკან და ყურადღებით ადევნოს თვალი მათ საქციელს, არბიტრი და მეორე ასისტენტი კი იმყოფებიან მოედნის ცენტრში და თვალს ადევნებენ მოთამაშეებისა და ოფიციალურ პირთა მოედნიდან გასვლას, ხოლო, პირველი ასისტენტი დაიკავებს მე-4 მსაჯის ადგილს ცენტრის ხაზისა და გვერდითი ხაზის გადაკვეთასთან, თან ყურადღებას აქცევს სათადარიგო ფეხბურთელებს და სხვა ოფიციალურ პირებს.

ჩემპიონთა ლიგა

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი პირველი მატჩები

ბეშიქთაში (თურქეთი) – ლოკომოტივი (რუსეთი) 3-0
ნიჰათი (10), ნუმა (80), კარჰანი (90).

შტურმი (ავსტრია) – ფეიენოორდი (ჰოლანდია) 2-1
0-1 კორნეევი (7), 1-1, 2-1 შოპი (22, პენ., 90, პენ.)

ბრონდბიუ (დანია) – ჰამბურგი (გერმანია) 0-2
ბარბარესი (83), მაჰდავიკია (85)

ზიმბრუ (მოლდოვა) – სპარტა (ჩეხეთი) 0-1
ობაიდინი (61).

დინამო (უკრაინა) – ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0-0

შახტარი (უკრაინა) – სლავია (ჩეხეთი) 0-1
დოშეკი (87).

ჰერფიოლგე (დანია) – რეინჯერსი (შოტლანდია) 0-3
ალბერტცი (28), უოლსი (31), ამორუზო (59).

ჰელსინგბორგი (შვედეთი) – ინტერი (იტალია) 1-0
ჰანსონი (82).

ანდერლეხტი (ბელგია) – პორტუ (პორტუგალია) 1-0
კოლერი (37).

პოლონია (პოლონეთი) – პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 2-2
0-1 ვარიჟხა (9), 0-2 ფისასი (39), 1-2 კიელბოვიჩი (45), 2-2 კალიჟანი (68).

დუნაფერი (უნგრეთი) – რუსენბორგი (ნორვეგია) 2-2
0-1 იონსენი (52), 1-1 ლენგიელი (80), 1-2 კნუდსენი (87), 2-2 ტოკოლი (88).

ტიროლი (ავსტრია) – ვალენსია (ესპანეთი) 0-0

ლიდსი (ინგლისი) – მიუნხენ-1860 (გერმანია) 2-1
1-0 სმიტი, 2-0 ჰარტი (71, პენ.), 2-1 აგოსტინო (90).

სენტ გალენი (შვეიცარია) – გალათასარაი (თურქეთი) 1-2
1-0 ამოა (14), 1-1, 1-2 ქარდელი (39,78).

მილანი (იტალია) – დინამო (ხორვატია) 3-1
0-1 ფილიპოვიჩი (20), 1-1, 2-1 შევჩენკო (22, 60), 3-1 კომანდინი (90).

ინტერი (სლოვაკეთი) – ლიონი (საფრანგეთი) 1-2
0-1 ანდერსონი (50), 1-1 ნემეტი (75), 1-2 დელმოტო (89).

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

იშვიათი გარიგება...

...გაიმართა რომის „ლაციოსა“ და „უდინეზეს“ შორის. რომაელებმა „უდინეზესაგან“ 43,1 მილიონ დოლარად იყიდეს ორი ნახევარმცველი — სტეფანო ფიორე (ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა) და ჯულიანო ჯანიკედა, რის შემდეგ ორივე იმავე კლუბში დატოვეს... იჯარის სახით. მართალია, იჯარა სულ ერთწლიანია, გაისად კი, როგორც ფიორე, ისე ჯანიკედა უკვე „ლაციოს“ შემადგენლობაში უნდა გამოვიდნენ. საინტერესოა, რომ ორივეში „ლაციომ“ თითქმის ერთნაირი თანხა გადაიხადა: ფიორეში 22 მილიონი, ჯანიკედაში ოდნავ ნაკლები.

ასეთ შურისძიებას აპირებს

„ბარსელონას“ ახალ პრეზიდენტ ჟოან გასპარს, რომ იტყვიან, სიზმარშიც კი ის ელანდება, როგორ უნდა იძიოს შური მადრიდის „რეალზე“, რომელმაც ლუიშ ფიგუ გადაიბირა, აი, რა ჩაიფიქრა ახალმა პრეზიდენტმა — როგორმე რეალს გამოსტაცოს ორი წამყვანი მოთამაშე, ახალგაზრდა, ოღონდ, დიდად პერსპექტიული მეკარე იკერ კასილიასი და საუკეთესო ბრაზილიელი მცველი რობერტო კარლოსი.

როგორც გასპარმა განაცხადა, მას აქვს 28,5 მილიონი დოლარი იმისათვის, რომ იყიდოს კასილიასი. 19 წლის მეკარე „რეალში“ ყველაზე ნაკლებ გასამრჯელოს იღებს — 228 ათასს წელიწადში. მართალია, კლუბის ყოფილი პრეზიდენტი ლორენსო სანსი კასილიასს ჰპირდებოდა, მას წლიური ხელფასი 2,5 -ჯერ გაეზარდა, მაგრამ არჩევნებში მისი დამარცხების შემდეგ ამ თემაზე ლაპარაკი შეწყდა.

ჟოან გასპარი

ერუდიტებო, შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რომელმა ბრაზილიელმა მსოფლიო ჩემპიონმა ფეხბურთელმა დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და გახდა პროფესიით ექიმი საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ?
   ა) ტოსტაო
   ბ) ქილმარი
   გ) ორლანდო.
2. ვინ იყო ესპანელთა მთავარი მწვრთნელი ფეხბურთში 1980 წლის ევროპის ჩემპიონატზე?
   ა) მიგელ მუნიოზი
   ბ) ელენიო ერერა
   გ) ლადისლაო კუბალა.
3. რომელი გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში ფეხბურთში ევროპის 1960 წლის ჩემპიონატში?
   ა) უნგრეთი და დანია
   ბ) სსრკ და იუგოსლავია
   გ) ესპანეთი და უნგრეთი.
4. ფეხბურთში მსოფლიო პირველ ჩემპიონატში ვინ შეასრულა „ჰეთ-თრიკი“?
   ა) იტალიელმა ფერარიმ
   ბ) გერმანელმა ზიფლინგმა
   გ) არგენტინელმა სტაბილემ
5. რომელმა მსაჯმა გააძევა პირველმა მოედნიდან პელე?
   ა) არმანდო მარკესმა (ბრაზილია)
   ბ) რობერტ დევიდსონმა (შოტლანდია)
   გ) ეტცელ ფილიომ (ბრაზილია).

წინა ნომერში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები: 1-ბ, 2-ა, 3-გ, 4-ბ, 5-გ.

მარადონას წიგნს ინტერესით ელიან

მარადონა კვლავინდებურად კუბაშია და მკურნალობს. მან მილიონი დოლარი მიიღო ავანსის სახით მემუარების წიგნისათვის, რომელიც უკვე დაასრულა და ოქტომბერში უნდა დაიბეჭდოს. იგი 340 გვერდს შეიცავს, 100 ფოტო ახლავს, რომელთა ნაწილი ადრე საერთოდ არ დაბეჭდილა. ანონსების თანახმად, წიგნში ლაპარაკია არა მარტო დიდი ფეხბურთელის კარიერაზე, არამედ წამყვანი ევროპული კლუბების ხელმძღვანელების კავშირებზეც სხვადასხვა მაფიოზურ დაჯგუფებასთან.

წიგნის სახელწოდება ჯერჯერობით ცნობილი არ არის. იგი დაიბეჭდება ესპანეთში და მხოლოდ ესპანურ ენაზე გავრცელდება.

დელ ბოსკე 13 ფეხბურთელს ეთხოვება

ახლა მადრიდის „რეალის“ მთავარ მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს განკარგულებაში 35 ფეხბურთელია, რომელთაგან იგი ცამეტის გაყიდვას ან იჯარით „ჩაბარებას“ აპირებს. ამ მხრივ „რეალს“ პირველი გამოეთხოვა ბოსნიელი ელვირ ბალიჩი, რომელსაც ესპანეთში თამაში არ გამოუვიდა და ახლა სტამბოლის „ფენერბახჩესთან“ გააფორმა ხელშეკრულება.

„ვალენსია“ აშკარად გაძლიერდა

ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი „ვალენსია“ ახალ სეზონს უდავოდ გაძლიერებული ხვდება. მან 11,4 მილიონ დოლარად გააფორმა ხელშეკრულება მადრიდის „ატლეტიკოს“ ნახევარმცველ რუბენ ბარახასთან. ეს კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირი კონტრაქტია — მანამდე 9 მილიონი გადაუხადეს ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტს“ არიელ ორტეგაში.

25 წლის ბარახასთან ხელშეკრულება 7 წლით (!) არის გაფორმებული. მასთან ერთად უკვე ვარჯიშობენ ახალშეძენილი დეშამი (საფრანგეთის), კარიუ (ნორვეგია) და ზახოვიჩი (სლოვენია).

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

რონალდოს არ ივიწყებენ!

ექიმების აზრით, რონალდომ არ უნდა იჩქაროს მინდორზე დაბრუნება. ხომ იყო შემთხვევა, რომ ბოლომდე არ იმკურნალა და პირველივე მატჩში კვლავ სერიოზულად დაშავდა. ამიტომ ბრაზილიელი ფეხბურთელი ახლა თვითონაც ძალიან ფრთხილობს და დაბრუნების საორიენტაციო ვადამ ნოემბრიდან შეიძლება კიდევ უფრო გადაიწიოს.

ამასობაში რონალდოს არ ივიწყებენ წამყვანი კლუბები. მისი შეძენა (თუ იჯარით გარიგება) სურთ „ფლამენგოს“, „ვასკო და გამას“, „პალმეირასს“, ყოფილ კლუბ „კრუზეიროს“. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ იგი აშშ-ს ლიგაში აღმოჩნდეს, რომლის რამდენიმე კლუბს ახლა „ინტერთან“ მოლაპარაკება აქვს.

ფეხბურთის გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ შარშან, ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, იტალიის თასის პირველ ფინალურ მატჩში („ლაციო“ — „ინტერი“) ბრაზილიელმა რონალდომ კვლავ მძიმე ტრავმა მიიღო, რომელიც, შეიძლება მსოფლიო-97-ის საუკეთესო ფეხბურთელს კარიერის ვადამდე დასრულებასაც ემუქრება *(იხ. სურათი)*.

ბატი გოლის ქვეყანა სამეულში შევიდა

წინა თვესთან შედარებით, **ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში** არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მესამე ადგილოსანი ჩეხეთი არგენტინამ ერთით უკან დასწია. ცხადია, სამხრეთამერიკელთა ასეთი პროგრესი 2002 წლის მუნდიალის შესარჩევ ტურნირში ზედიზედ ხუთმა გამარჯვებამ განაპირობა (ბრაზილიასთან ბოლო თამაში რომ არ წაეგო, არგენტინა მეორე ადგილზე მყოფ საფრანგეთსაც კი გაუსწრებდა).

რაც შეეხება საქართველოს, იგი ისევ თავისთვის ჩვეულ მეშვიდე ათეულშია.

ქვეყანა	რეიტინგი	წინა თვეს დაკავ. ადგ.
1. ბრაზილია	819	1
2. საფრანგეთი	808	2
3. არგენტინა	749	4
4. ჩეხეთი	745	3
5. ესპანეთი	743	5
6. იტალია	729	6
7. პორტუგალია	716	7
8. ჰოლანდია	710	8
9. ნორვეგია	705	10
10. იუგოსლავია	704	11
68. საქართველო	495	65

ხორვატი გაცილებით ნაკლებს მიიღებსო

„ლელო“ ადრე იტყობინებოდა, სკუდეტომოპოვებულმა იტალიურმა „ლაციომ“ და უეფას თასის მფლობელმა თურქულმა „გალათასარაიმ“ მოილაპარაკეს 30 წლის ხორვატელი თავდამსხმელის ალან ბოქშიჩის ტრანსფერის შესახებ, მაგრამ, როდესაც საქმე ფეხბურთელის პირად კონტრაქტზე მიდგა, მხარეები ვერ შეთანხმდნენ და საბოლოოდ ყველაფერი ჩაიშალა. მერე „ლაციოს“ ინგლისის პრემიერლიგის „მიდლსბრო“ დაუკავშირდა და საბოლოოდ გარიგება შედგა, ბრიტანელებმა ფორვარდში 2,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადეს. როდესაც ორი კვირის წინათ, ბოქშიჩი ბრიტანეთს ჩავიდა, იქაურ გაზეთებში გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ინგლისურმა კლუბმა ხორვატს პრემიერლიგისთვის არნახულად მაღალი ხელფასი — კვირაში 63 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუნიშნაო. ეს თანხა დოლარებში რომ გადავიყვანოთ, წელიწადში 5 მილიონ დოლარზე მეტი გამოდის (შედარებისათვის, ეს ხელფასი აღემატება ლუიშ ფიგუს მადრიდულ და ფერნანდო რედონდოს მილანურ ხელფასებს და მსოფლიოში მხოლოდ რივალდოს გასამრჯელოს უტოლდება). ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობა იმთავითვე დააკმაყოფილა „მიდლსბროს“ პრეზიდენტმა სტივ გიბსონმა: „ეს ჭორებია და მეტი არაფერი. წარმოდგენა არა მაქვს, ვის დასჭირდა ასეთი სიცრუის გავრცელება. ბოქშიჩს იმის ნახევარი გასამრჯელოც არ ექნება, რაც გაზეთებშია მითითებული“.

ოლივეირა - პორტუგალიელების მთავარი მწვრთნელი

პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის უმბერტუ კოელიუს გადადგომის მერე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია დიდხანს როდი ეძებდა მის შემცვლელს. როგორც პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟილბერტო მადაილმა განაცხადა, არჩევანი ანტონიუ ოლივეირაზე შეაჩერეს.

48 წლის ოლივეირა უკვე იყო ნაკრების მთავარი მწვრთნელი 1994 წლის სექტემბრიდან 1996 წლის ივნისამდე, მაგრამ გადადგა ევროპის პირველობის შემდეგ. 70-იან — 80-იან წლებში იგი თამაშობდა „ბენფიკაში“, „სპორტინგსა“ და „პენაფიელში“, პირველი დივიზიონის 288 მატჩში 107 გოლი გაიტანა.

ვეა «მანჩესტერ სიტიმ» მიიღო

ჯორჯ ვეა, რომელსაც ამ დღეებში ასე უმტკივნეულოდ გამოეთხოვა „მილანი“, უმუშევრად არ დარჩენილა. იგი ინგლისის პრემიერლიგაში დაბრუნებულ „მანჩესტერ სიტიში“ ჩაირიცხა, თუმცა წინადადება ლონდონის „ფულჰემიდანაც“ ჰქონდა. ახალ კლუბში მისი პარტნიორი იქნება ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედიდან“ შეძენილი კოსტარიკელი თავდამსხმელი პაოლო ვანჩოპე, რომელშიც 6 მილიონი დოლარი გადაიხადეს. „მანჩესტერ სიტის“ მესამე შენაძენია ცნობილი ნორვეგიელი ოსტატი ალფ-ინგე ჰოლანდი, რომელიც აქამდე „ლიდს იუნაიტედში“ გამოდიოდა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების უახლოესი მომავალი

ახლა, როცა საფრანგეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონიც არის და მსოფლიო ჩემპიონიც, მის შესახებ სპორტულ პრესაში ბევრი საქები წერილი ქვეყნდება. ფრანგებს 60-70-იანი წლების „პელეს ნაკრებს“ ადარებენ, ზოგჯერ კი „ბეკენბაუერის ნაკრებსაც“. „ფრანს ფუტბოლის“ მთავარი რედაქტორი ჟერარ ერნო წერდა: „გარი ლინეკერმა როგორღაც თქვა, რომ ფეხბურთი ის თამაშია, რომელსაც 11 კაცი თამაშობს, მაგრამ იგებენ კი გერმანელები. იმედი მაქვს, გარი მაპატიებს, იდეა რომ მოვპარე, მაგრამ დღეისათვის ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფეხბურთი ის თამაშია, რომელსაც 11 კაცი თამაშობს, მაგრამ იგებენ კი ფრანგები“.

დღევანდელი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ თვით ფრანგებს აღელვებთ კითხვა. რა იქნება ხვალ. საქმე ის არის, რომ წამყვანი მოთამაშეების დიდმა ჯგუფმა კრიტიკულ ასაკს მიაღწია. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საფრანგეთის ნაკრები, როგორც მსოფლიო ჩემპიონი, განთავისუფლებულია 2002 წლის პირველობის შესარჩევი თამაშებისაგან და, ამდენად, შეიძლება სათანადო სათამაშო პრაქტიკა დააკლდეს.

ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ორმა წამყვანმა მოთამაშემ, 31 წლის დიდიე დეშამმა და 34 წლის ლორან ბლანმა განაცხადა, რომ ამთავრებს ნაკრებში გამოსვლას. ეს გუნდს ახლავე გარკვეული სიძნელეების წინაშე აყენებს. ამას დავუმატოთ, რომ ორივე ცენტრალური მცველი, მარსელ დესაიი და ფრანკ ლებეფი, თუმცა თამაშს განაგრძობს, მაგრამ ასევე სოლიდური ასაკისაა — 32-32 წლისა. 31 წლისაა განაპირა მცველი ბიქსენტ ლიზარაზიუ, 30 წლისა — კრისტიან კარამბე, რომელიც მცველადაც თამაშობს და ნახევარმცველადაც. კარამბეს ტოლია შუა ხაზის წამყვანი მოთამაშე ემანუილ პეტი, 28 წლისა — ლილიან ტიურამი. ერთი სიტყვით, დაცვაც და და შუა ხაზიც საკმაოდ ხანდაზმული მოთამაშეებისაგან შედგება. მათი ნაწილი 2002 წლისათვის შეიძლება მწყობრიდან გამოვიდეს ან უწინდელ დონეზე ნამდვილად ვეღარ ითამაშოს. ევროპის ჩემპიონებში შედარებით უკეთ გამოიყურება 24 წლის პატრიკ ვიეირა, რომელიც დღეისათვის პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება. ჰყავთ თუ არა ფრანგებს სათანადო კლასის შემცვლელები (ასახელებენ ფილიპ კრისტანვალს და უსმან დაბოს), ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ამასთან, დასახელებულ მოთამაშეებს ხომ სათანადო გამოცდილება არა აქვთ. თუ 1998 წელს მსოფლიო პირველობაზე და 2000 წელს ევროპის პირველობაზე ფრანგები ფაქტობრივად ერთი და იგივე შემადგენლობით გამოვიდნენ, 2002 წლისათვის, ეს ცხადია, აღარ მოხდება. ზოგი მიმომხილველი სრულიად კატეგორიული ფორმით იმასაც წერს, რომ „სამფეროვანთა“ დაცვის გადახალისება უკვე დღეიდანვე უნდა დაიწყოს, მაგრამ ეს იოლი არ იქნება.

მეკარის საკითხი თითქოს ასეთი აქტუალური არ უნდა იყოს. ფაბიენ ბარტეზი საიმედოდ თამაშობს, გარდა ამისა, არის კიდევ 2-3 საკმაოდ საიმედო გოლკიპერი (დიუტრუელი, რამე, პორატო) საჭიროა მხოლოდ მათი ნაკრებთან შეჩვევა.

გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა თავდასხმაში, იმაზე უკეთესიც კი, ვიდრე ეს იყო 1998 წელს. აქ ფრანგებს ჰყავთ ტიერი ანრი, რომელიც ამ ორი წლის მანძილზე ძალიან მომძლავრდა, იგივე ითქმის დავიდ ტრეზეგეზე, სილვენ ვილტორზე, როგორც ცნობილია, იგი მსოფლიო ჩემპიონატში არ მონაწილეობდა. დიდ იმედებს ამყარებენ 21 წლის ნიკოლა ანელკაზე, რომელსაც მართალია, 1999-2000 წლების სეზონში მადრიდის „რეალში“ დიდი უსიამოვნებები შეემთხვა, მაგრამ „პარი სენ-ჟერმენში“ დაბრუნების შემდეგ თამაშის სათანადო პრაქტიკაც ექნება და რწმენასაც სავსებით დაიბრუნებს.

ყოველივე ამასთან ერთად, ნაკრების წამყვანი მოთამაშე იყო და რჩება განუმეორებელი ზინედინ ზიდანი. საფრანგეთის ნაკრები, როცა ზიდანი თამაშობს, ერთი გუნდია, უიმისოდ, სხვა გაცილებით უარესი. მოვისმინოთ რამდენიმე აზრი მის შესახებ. ფრანც ბეკენბაუერი: „დღეისათვის ზიდანი ყველაზე უფრო სრულყოფილი მოთამაშეა თანამედროვე ფეხბურთში. ეს არის უჭკვიანესი სტრატეგი, ელეგანტური საფეხბურთო დირიჟორი, უშიშარი მებრძოლი, რომელიც ბოლო ხანებში უკეთ ამთავრებს შეტევებსაც. მის მოქმედებებს რომ აკვირდები, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ბურთსაც კი უხარია მის ფეხებში მოძრაობა, ბურთსაც აქვს შემოქმედების სიხარული. აღტაცებული ვარ მისი შთაგონებული თამაშით“. პელე კი ამბობს: „ზიდანი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე იყო. ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში მან გაცილებით უკეთ დაიწყო თამაში. იტალიის ჩემპიონატში გამოსვლამ მას საშუალება მისცა დაეხვეწა ოსტატობა და გამოეწრთო ხასიათი. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი. დი სტეფანო, პუშკაში, ბობი ჩარლტონი და მე პირველხარისხოვანი ვარსკვლავები ვიყავით 10, ანდა, 15 წლის განმავლობაშიც კი. ზიდანი კი 2-3 წელია ბრწყინავს. რათა დაიმსახუროს მისი ტალანტის ადეკვატური, უმაღლესი აღიარება, ზიდანმა არ უნდა უკლოს, პირიქით კიდევ რამდენიმე წელი უკეთესადაც უნდა ითამაშოს. აი, რა განაცხადა მიხაელ შუმახერმა, ცნობილმა ავტომრბოლმა და ფეხბურთის დიდმა მოყვარულმა: „ზიდანი ფანტასტიკაა. ეს მოთამაშე, უფრო ზუსტად, ეს ადამიანი სხვა პლანეტიდანაა“.

ერთი სიტყვით, როჟე ლემერი, ისევე, როგორც მისი წინამორბედი ემე ჟაკე, ზიდანზე დიდ იმედს ამყარებს და ფიქრობს, რომ საფრანგეთის ახალი (თუ განახლებული) ნაკრები სწორედ ამ დიდი ფეხბურთელის გარშემო ჩამოყალიბდება. აი, რა განაცხადა ლემერმა: „მჯერა იმ მოთამაშეებისა, რომლებიც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე საფრანგეთის ნაკრების ახალი ვარსკვლავებისა. მათ, დარწმუნებული ვარ, მშვენივრად აქვთ შეგნებული, როგორ ნაკრებში მოუხდებათ გამოსვლა. ნაკრებში მუდმივად მიმდინარეობს ახალი ფეხბურთელების ინტეგრაციის პროცესი. 98-ში ესენი იყვნენ ანრი, ტრეზეგე და დიომედი, ევრო-2000-ის შესარჩევ ციკლში — ვილტორი, მიკუ და ანელკა. ხვალ, შესაძლოა, რომ მიემატებიან კრისტანვალი, ლიუქსენი, დალმა და ლანდრო. ისეთ მოთამაშეებთან გამოთხოვება, როგორიც არიან ბლანი და დეშამი, დროის დაუნდობელი მსვლელობის აუცილებელი ატრიბუტია. მაგრამ, ამასთან ერთად, საფრანგეთის ნაკრები ერთიან გუნდად რჩება, რომელმაც იცის თავისი ძალა და მზად არის ახალი წარმატებებისათვის“.

მოამზადა ბიბი თორელმა

ზინედინ ზიდანი

«ზიზუმ» თვით წმინდანს გადაუსწრო

საფრანგეთში ყოველწლიურად ტარდება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ქვეყნის ყველაზე პოპულარული ადამიანის გამოსავლენად. ბოლო წლებში რჩეულთა შორის ფეხბურთის სამყაროდანაც ხვდებიან: 1988-ში ეს წოდება ხვდა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ემე ჟაკეს, ხოლო წლეულს სახელგანთქმულ ნახევარმცველს ზინედინ ზიდანს. რეფერენდუმში „ზიზუმ“ თვით 82 წლის უსახლკარო აბატ პიერს გაუსწრო, რომელიც ხალხმა სიცოცხლეშივე წმინდანად შერაცხა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები

მარსელ დესაიი: საფრანგეთის ნაკრები ერთგულების გუნდია!

საფრანგეთის ნაკრები დიდი ხანია წარმოუდგენელია მარსელ დესაიის გარეშე. მან ითამაშა შეუცვლელად ევრო-96-ის, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის, ევრო-2000-ის თვრამეტივე ფინალის მატჩში. მხოლოდ ერთხელ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მატჩში ბოლო 22 წუთს დაატოვებინეს მინდორი უხეშობის გამო. ეს არის და ეს.

● ***მარსელ, შეგიძლიათ შეადაროთ ახლანდელი წარმატება ევროპის ჩემპიონატზე მსოფლიო პირველობის გამარჯვებას?***

— ახლანდელი შთაბეჭდილება უფრო მძაფრია, თუმცა ეს ხომ იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ იგი სულ ახალია. „სტად დე ფრანსზე“ ბრაზილიელების წინააღმდეგ პირველი ტაიმის შემდეგ ვიყავით წინ — 2-0. ეს უკვე გამარჯვება იყო, თუ იმასაც გავითვალისწინებდით, რომ არც ფსიქოლოგიურად, და, ალბათ, არც ფიზიკურად ბრაზილიელები კარგად ვერ გამოიყურებოდნენ. პეტის მესამე გოლი აღვიქვით, როგორც სრულიად კანონზომიერი მოვლენა, ფინალურ სასტვენამდე მთელი საათით ადრე კი უკვე კვარცხლბეკზე ვგრძნობდით თავს. ახლა ევროპის პირველობაზე საქმე სულ სხვანაირად იყო. მუდმივ პრესს განვიცდიდით არა მარტო ფინალური მატჩის, განსაკუთრებით მის უკანასკნელ წუთებში, არამედ მთელი ტურნირის განმავლობაში. გაიხსენეთ გამარჯვება ესპანელებთან მას შემდეგ, რაც რაულმა პენალტი ვერ გამოიყენა, დაძაბული ნახევარფინალი პორტუგალიელებთან.

● ***საფრანგეთის ახლანდელ ნაკრებს ნებისმიერ მომენტში შეუძლია გოლის გატანა!***

— დიახ, ეს ასეა. შეგვიძლია გამოვიყენოთ ის უპირატესობა, რომელიც პრაქტიკულად ნებისმიერ მატჩში გვაქვს.

● ***ამისი გჯეროდათ იტალიელებთან მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე?***

— გულახდილად უნდა გითხრათ, აზრმა, რომ წავაგეთ, რამდენჯერმე გამიელვა. უკვე იმდენი ძალა დავხარჯეთ, რომ უკეთესად თამაში შეუძლებელი ჩანდა. მაგრამ იტალიელები უფრო დაღლილები იყვნენ. მათ დასვენებისათვის ჩვენთან შედარებით ერთი დღით ნაკლები ჰქონდათ. გარდა ამისა, სისტემატურად თავის დაცვა ხომ მეტად ძნელი საქმეა. ამას ვგრძნობდით კიდეც და უკანასკნელ წუთამდე იმედიც გვქონდა.

● ***მარსელ, ახლა რაღა დაგრჩათ ფეხბურთში მისაღწევი?***

— გასაგებია, რომ ჩემი კარიერის დასასრულამდე სულ რამდენიმე წელიღა დამრჩა, უკვე დიდი ხანია ვთამაშობ ფეხბურთს. ყველა შეჯიბრებაში მიმიღია მონაწილეობა, რაც კი საერთოდ არსებობს, პრაქტიკულად ყველაფერი მოვიგე: მსოფლიოსა დ ევროპის ჩემპიონატები, ჩემპიონთა თასი მარსელის „ოლიმპიკსა“ და „მილანში“, საფრანგეთისა და იტალიის ჩემპიონატები, ინგლისის თასი. მაგრამ ჩავაგონებ ხოლმე საკუთარ თავს: „ნუ შეჩერდები, გზის გასაგრძელებლად საჭიროა ახალი ძალებისა და ემოციების გამონახვა“. მაგრამ მეორე აზრიც გამიელვებს ხოლმე: „ყველაფერს აქვს საზღვარი. რა გიშლის ხელს ახლავე დაამთავრო თამაში? რა სტიმული გაქვს, რომ გამოდიხარ მინდორზე და მთელ ძალას აქსოვ თამაშში? ამ მეორე კითხვაზე პასუხი თავისთავად მომდის, როცა ნაკრების მომავალზე ვფიქრობ. საფრანგეთის ნაკრებისგან ახლა ყველა გამარჯვებებს ელის. თაობათა მკვეთრმა ცვლამ კი შეიძლება ჩავარდნამდე მიგვიყვანოს. ამავე დროს, სავსებით ცხადია, რომ ნაკრებში ცვლილებები აუცილებლად უნდა მოხდეს. ამიტომ მე და იმ მოთამაშეებმა, რომლებმაც 30 წელს გადავაბიჯეთ, ჩვენი გამოცდილება ახალგაზრდებს უნდა გავუზიაროთ, რათა მათ დაიმკვიდრონ ადგილი ნაკრებში და ღირსეულად გააგრძელონ გზა, რომელსაც აქამდე გავდიოდით.

მარსელ დესაიი

● ***თქვენმა ერთ-ერთმა უახლოესმა პარტნიორმა ლორან ბლანმა ჯერ კიდევ ადრე განაცხადა, რომ ევრო-2000 მისთვის უკანასკნელი იქნებოდა ნაკრების შემადგენლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ 2 ივლისს თქვენ უკანასკნელად ითამაშეთ მის მხარდამხარ. როგორი გრძნობები დაგეუფლათ?***

— ყველანი მზად ვიყავით იმისთვის, რომ ლორანი, ისევე, როგორ დიდიე (დეშამი) ნაკრებს სტოვებდა. ისე რომ, არ შემიძლია გითხრათ, თითქოს რაიმე განსაკუთრებული ემოციები მქონდა. თვით ლორანისაგან განსხვავებით, რა თქმა უნდა. იგი თითოეულ მატჩს ისე ატარებდა, როგორც უკანასკნელს. გამარჯვებამ ასეთნაირად იმიტომაც გამახარა, რომ ლორანი ნაკრებს ესოდენ ბედნიერი გამოეთხოვა. მგონია, ჩვენ, მისი პარტნიორები, ყველაფერს ვაკეთებდით, რომ საქმე სწორედ ასე დამთავრებულიყო. ჩვენ მისი ერთგულები ვიყავით, ისევე, როგორც ლორანი იყო ჩვენი ერთგული, მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა იგი ლურჯ მაისურს იცვამდა. ერთგულება ძალიან კარგი სიტყვაა. საფრანგეთის ნაკრები კი ერთგულების გუნდია.

მარსელ დესაიის ყველა ფინალური მატჩი:

ევრო-96: საფრანგეთი — რუმინეთი — 1-0 (90 წუთი), საფრანგეთი — ესპანეთი — 1-1 (90), საფრანგეთი — ბულგარეთი — 3-1 (90), საფრანგეთი — ჰოლანდია — 0-0, პენალტებით — 5-4 (120 წუთი), საფრანგეთი — ჩეხეთი — 0-0, პენალტებით — 5-6 (120).

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატი: საფრანგეთი — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა — 3-0 (90), საფრანგეთი — საუდის არაბეთი — 4-0 (90), საფრანგეთი — დანია — 2-1 (90), საფრანგეთი — პარაგვაი — 1-0, ოქროს გოლი (114), საფრანგეთი — იტალია — 0-0. პენალტებით 4-3 (120), საფრანგეთი — ხორვატია — 2-1 (90), საფრანგეთი — ბრაზილია — 3-0 (68-ე წუთზე გააძევეს).

ევრო-2000: საფრანგეთი — დანია — 3-0 (90), საფრანგეთი — ჩეხეთი — 2-1 (90), საფრანგეთი — ჰოლანდია 2-3 (90). საფრანგეთი — ესპანეთი — 2-1 (90), საფრანგეთი — პორტუგალია — 2-1, ოქროს გოლი (117), საფრანგეთი — იტალია — 2-1. ოქროს გოლი (103).

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ჭაბუკი არგენტინელები ევროპაში მოდიან

სამი ყველაზე უფრო პერსპექტიული არგენტინელი ახალგაზრდა ფეხბურთელი: ხავიერ სავიოლა, ხუან რომან რიკელმე და პაბლო აიმარი ამ ცოტა ხანში ევროპაში გადმოვა.

„რივერ პლეიტი“ 18 წლის თავდამსხმელ ხავიერ სავიოლასათვის „ბარსელონასაგან“ 30 მილიონ დოლარს ითხოვს, კატალონიელები კი 5 მილიონით ნაკლებს სთავაზობენ. არგენტინული კლუბი, ეტყობა, დათმობს, დიდი ვალები აქვს და, 20 წლის პაბლო აიმარსაც მიჰყიდის. გარდა ამისა, „ბოკა ხუნიორსს“ სტოვებს 22 წლის დირიჟორი ხუან რომან რიკელმე, რომელიც უკმაყოფილოა ფინანსური პირობებით, თუმცა, ამას წინათ წლიური გასამრჯელო 615 ათას დოლარამდე გაუზარდეს. მის აგენტს მოლაპარაკება აქვს „ბარსელონასა“ და „ლაციოსთან“.

ჟინოლა «ასტონ ვილაში» ითამაშებს

33 წლის ნახევარმცველი დავიდ ჟინოლა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურიდან“ ბირმინგემის „ასტონ ვილაში“ გადავიდა. კონტრაქტი ორწლიანია და სამი მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა.

ჟინოლა სამი წლის წინათ „ტოტენჰემში“ „ნიუკასლ იუნაიტედიდან“ გადავიდა, 1999 წელს ინგლისის პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს, მაგრამ ლონდონელთა მწვრთნელ ჯორჯ გრემთან უკმაყოფილება მოუვიდა.

მალესანი სიმხნევეს არ ჰკარგავს

„პარმას“ მწვრთნელმა ალბერტო მალესანიმ სნაიპერი კრესპო კი დაკარგა, მაგრამ შეძლო შემადგენლობის გაძლიერება ოთხი ახალი ფეხბურთელით. ესენია: ურუგვაის ნაკრების მცველი ალესანდრო ლემბო (მონტევიდეოს „ნაციონალიდან“), „ინტერის“ ყოფილი ნახევარმცველი ძიკელე სერენა, კიდევ ერთი ცნობილი ნახევარმცველი ჟოან მიკუ (საფრანგეთის ნაკრების წევრი, „ბორდოში“ გამოდიოდა), აგრეთვე, კამერუნის ნაკრების თავდამსხმელი პატრიკ მბომა („კალიარიდან“).

60 ათასი დოლარი კვირაში — ურიგო არაა

ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა, სლოვენიის ნაკრების ნახევარმცველი ზლატკო ზახოვიჩს მთელი წინა სეზონი თითქმის არსად უთამაშია — მძიმე კონფლიქტი ჰქონდა პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ ხელმძღვანელებთან.

ახლა, როცა ზახოვიჩი, როგორც იქნა, ბერძნებს გამოეთხოვა (რომლებსაც ძალიან ემდურის) და „ვალენსიაში“ გადავიდა, იგი ძალიან კმაყოფილია ახალი ფინანსური პირობებით — 29 წლის ნახევარმცველი კვირაში 60 ათას დოლარს მიიღებს.

მოლინას რომ მყიდველი გამოუჩნდება

ზოგი კომენტატორი ფიქრობს, რომ ევროპის პირველობაზე ესპანეთის ნაკრების სუსტ გამოსვლაში ერთ-ერთი დამნაშავე მეკარე ხოსე ფრანსისკო მოლინა იყო, ზოგი კი მეკარის მარცხს შემთხვევითობას მიაწერს.

ეტყობა, სწორედ ასე თვლის ესპანეთის ჩემპიონ „დეპორტივოს“ (ლაკორუნია) ხელმძღვანელობა, რომელმაც მოლინასთან ხელშეკრულება გააფორმა... 6 წლით! გარდა ამისა, მადრიდის „ატლეტიკოსაგან“ იყიდეს კიდევ ორი მოთამაშე: მცველი ხუან ვალდევილია და ნაკრების ნახევარმცველი ხუან კარლოს ვალერონი. სამივეში „ატლეტიკოს“ 19,1 მილიონი დოლარი გადაუხადეს. უფრო ძვირი — 13 მილიონი დაჯდა „მალაგადან“ ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელის, ბრაზილიელ კატანიას შეძენა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

სპორტის უჩინარი მსახური

გიორგი ეგნატაშვილის ოქროს თუმნიანი და... ბათუ კანდელაკის „საფირმო“ ტყორცნა

- როგორ აშენდა თბილისში პირველი დიდი სპორტული დარბაზი ჩეხეთიდან ჩამოტანილი პროექტით
- კაცი, რომელიც უბადლოდ ქსოვს... კალათბურთის ბადეს
- ღვთის მორწმუნე ვარ და მჯეროდა ჩემი ვედრებისა
- ოქროს თუმნიანის საიდუმლო მაშინ გაიცემა, როცა...

სად იყო მაშინ ჩვენი უნიკალური სპორტის სასახლე, თუ არანაკლებ უნიკალური „დინამოს“ სტადიონი, დღეს რომ ტყავის ბურთის კიდევ უფრო უნიკალური ოსტატის ბორის პაიჭაძის სახელს ატარებს. რკინიგზის სადგურის შორიახლოს მდებარე სართანიას (მერე კონსტიტუციის) ქუჩაზე, 6 ნომერში, მოხდენილი, ნალდი წითელი აგურისაგან ნაგები სამსართულიანი შენობაა თავისი „არაუშავსრა“ სტადიონით. ერთიცა და მეორეც უპირველესი ბელადის, „ბავშვების დიდი მეგობრის“ ლენინის სახელს ატარებდა წლების მანძილზე, თუმცა მასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, ისე როგორც ფიზკულტურასა და სპორტთან, საერთოდ! ქართული სპორტის მექად, თუ გნებავთ, აკვნად მიიჩნევდნენ ძველები, ვინაიდან სწორედ აქ გადადგეს თავიანთი პირველი სერიოზული ნაბიჯი დიდ სპორტში საუკეთესო ფეხბურთელებმა, მძლეოსნებმა, ტანმოვარჯიშეებმა, კალათბურთელებმა და სხვ. რამდენი მნიშვნელოვანი შეჯიბრება გამართულა მის, იმ დროისათვის, უზარმაზარ დარბაზსა თუ ღია ცის ქვეშ, კარგად ნაცნობ უტრიბუნო სტადიონზე, რამდენი ჩემპიონი დაბადებულა მის სარბიელზე!..

ქართული სპორტის უპირველეს და უჭეშმარიტეს თავკაცს, ჯანსაღი სხეულის დიდ პროპაგანდისტს გიორგი ეგნატაშვილს ჩამოუტანია 1912 წელს პრაღიდან, იქ გამართული „სოკოლისტების“ შეკრებიდან, ამ სპორტული ნაგებობის პროექტი.

„პრაღაში ასეთი სავარჯიშო ცენტრი ბარე თორმეტია, ჩვენ ერთი მაინც ავაგოთ!“ — უთქვამს ღვაწლმოსილ სპორტსმენსა და პედაგოგს ქალაქის მესვეურთათვის. აკი ააგეს კიდეც. სხვათა შორის, ეს იმავე წელს იყო, როდესაც მწყობრში ჩადგა დიდი ხიდი (მერე ჩელუსკინელების სახელი რომ ეწოდა) მტკვარზე.

— „ბათუ, იცოდე ამ შენობის ერთ-ერთ კუთხეში მე ოქროს თუმნიანი ჩავდე!“ — გაუმხილა „გურგელამ“ (ასე სიყვარულით ეძახდნენ გ. ეგნატაშვილს ახლობლები და მეგობრები) საიდუმლო 29 წლის „ფიზკულტურელს“ ბათუ კანდელაკს.

— როგორც ხედავთ, საკმაოდ „მაგარი“ თუმნიანი გამოდგა, თითქმის საუკუნე დგას ეს ნაგებობა ქალაქში — ხუმრობს ჩვენი მოსაუბრე, 74 წლის ბათუ კანდელაკი.

სწორედ მასზე გვინდა ვუამბოთ ჩვენს მკითხველს.

...არ დაგვიდგენია, რამდენ საათს ატარებს ადამიანი სამუშაოზე საშუალოდ დღეში, მაგრამ ბატონ ბათუზე რომ თქვას ვინმემ, მთელი 24 საათი იქ არისო, დავიჯერებ.

— ბატონო ბათუ, თქვენს „რასკლადუშკას“ სად ინახავთ? — გავბედე შეხუმრება.

გაეცინა და გვიამბო თავის ერთ, ცოტა არ იყოს, უცნაურ გატაცებაზე, დღეს რომ გაპრანჭულ უცხოურ სიტყვას „ჰობის“ უწოდებენ. მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით იყო, თავდაპირველად კი, როგორც წესი და რიგია, გავიხსენოთ მისი „დებიუტის“ ამბავი სპორტში.

...ოთხ წლამდე თბილისში ცხოვრობდა, მერე მამამისი — კარგი მეღვინე, ხირსის მეურნეობაში გადაუყვანიათ, ღვინის ქარხანაში. ცოლ-შვილიც წაუყვანია კახეთში — სიღნაღის რაიონის სოფელ ქედელში დასახლებულა, სულ ახლოს ხირსადან. ბათუს ორი ძმა ჰყავდა და კანდელაკების „ტრიო“ წმიდა ნინოს ეკლესიის ეზოში მთელი დღე დასდევდა ბურთს, თანატოლებს ეჯიბრებოდა ხტომაში, სირბილსა და ჭიდაობაში.

— განსაკუთრებით მიყვარდა ფეხბურთი, კალათბურთი და ლახტი, ფეხები სულ გადატყავებული მქონდა ქამრისცემისგან — ამბობს ბ. კანდელაკი.

...სიღნაღის სპორტსკოლას ერთი დიდი ენთუზიასტი მწვრთნელი არტუშა სიმონიანი ედგა სათავეში. სხვადასხვა გუნდი ჰყავდა ჩამოყალიბებული. ბათუმ და მისმა თანატოლებმა შეკრეს თავიანთი „სამმო“ გუნდი და სპორტსკოლელებს შეეჯიბრნენ: ფრენბურთში გაიმარჯვეს, აი, ფეხბურთი კი ერთხელ მოიგეს, მერე კი წააგეს. 12-14 წლისანი იყვნენ მაშინ.

სპორტზე უზომოდ შეყვარებული ჭაბუკი თბილისში ჩამოიყვანეს, ფიზკულტურის ტექნიკუმში ჩარიცხეს, რომელიც მაშინ სანაპიროზე, ეგრეთ წოდებულ „ფიზკულტურელთა პარკში“ იყო მოთავსებული (დღეს აქ რესტორანი „არაგვია“). დაამთავრა ბათუმ ტექნიკუმი და ახლა ფიზკულტურის ინსტიტუტში შევიდა. მასთან ერთად სწავლობდა აქ მომავალი ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი თენგიზ კუბლაშვილი, ნიჭიერი მძლეოსანი ვიტალი ქადეიშვილი, ნიჭიერი მოჭიდავე — მერე ლევან თედიაშვილის მწვრთნელი — ვალიკო მეკოკიშვილი. ბათუმ ინსტიტუტი მძლეოსნობის განხრით (კათედრის გამგე ვლადიმერ სამსონაძე) დაამთავრა მწვრთნელების ამირან ქარცივაძისა და გივი კილაძის ხელმძღვანელობით. იგი კარგი სიგრძეზე მხტომელი და ბირთვის მკვრელი იყო, აი ხელყუმბარის ტყორცნაში კოსტია შმაკოვთან (მოგვიანებით საქართველოს ჩემპიონი და რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში) ერთად ყველას სჯობნიდა.

ინსტიტუტ-კურსდამთავრებული მცხეთაში გაანაწილეს. სოფელ მისაქციელის სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად. ორი წელიწადი იმუშავა. იქიდან სპორტსაზოგადოება „სპარტაკში“ გადაიყვანეს ოთარ აბუაშვილთან. აქაც ორი წელიწადი დაჰყო. დადგა 1955 წელი. ბათუ კანდელაკს თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, ბრწყინვალე ქართველმა ტანმოვარჯიშემ და ჭეშმარიტმა ინტელიგენტმა გულო რცხილაძემ (სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი იყო მრავალჭიდში — 1932, 1933, 1934 წ.წ.) თავიანთი სპორტდარბაზის დირექტორობა შესთავაზა. სპორტში მრავალ რეკორდს ვიცნობთ, მაგრამ ასეთი რამ მართლაც გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი. ხუმრობა იქით იყოს და ბათუ კანდელაკი ამ თანამდებობაზე მუშაობს აგერ უკვე... 45 წელიწადი!

— ნახევარსაუკუნოვანი „იუბილე“ მინდა გადავიხადო ჩვენს დარბაზში და მერე, ალბათ, დავანებებ თავს ამ ჩემს ძველ პოსტს — ღიმილით დასძენს ბათუ კანდელაკი.

რა არ ჩატარებულა ამ სპორტულ დარბაზში (იგი ახლა თავის კანონიერ სახელს ატარებს — გიორგი ეგნატაშვილის) — ალბათ, ფეხბურთის და ცურვის გარდა: კალათბურთი, ფრენბურთი, ტანვარჯიში, კრივი, ფარიკაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭიდაობა... რომელ ტიტულოვან სპორტსმენს არ უასპარეზია მის კედლებში — დავით ციმაკურიძეს, ვასო ილურიძეს, შალვა ნოზაძეს, გიორგი როსტიაშვილს, გიორგი სხირტლაძეს, ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ვაჟა გვანცელაძეს, მალხაზ ეგანოვს, გურამ და გივი აბაშიძეებს, ალექსანდრე კილაძეს, ლევან ინწკირველს, ვაჟა ქლენტს, გურამ მინაშვილს, ლევან მოსეშვილს, ნიკოლაი დერიუგინს, ვლადიმერ ალთაბაევს, ანტონ კაზანჯიანს, ვაჟა კაჭარავას, არვიდას საბონისს, ალექსანდრ ბელოვს, ივან ედეშკოს... ცხადია, ამ სიის უსასრულოდ გაგრძელება შეიძლება! ალბათ, შეამჩნიეთ, რომ ჩვენს „რეესტრში“ კალათბურთელები სჭარბობენ. ასე ინება ბატონმა ბათუმ — მას ხომ გამორჩეულად უყვარს კალათბურთი.

ავარჯიშებდნენ კალათბურთელებს შალვა დიასამიძე, გიორგი ავალიშვილი, მიხეილ კეკელიძე — ბათუც იქ იყო და იქ, აუტში გასული ბურთის აღებაში ეჯიბრებოდა მას. მაგრამ, წარმოიდგინეთ, სპორტსმენებთან თავადაც კი ვარჯიშობდა ხშირად. ეგაა, რომ მათთან ერთად სასპარეზოდ არ გამოდიოდა, თორემ მაისური პერანგის ქვეშ ნამდვილი, მათნაირი ეცვა.

— მიხეილ კეკელიძე, მახსოვს, ჩვენ ამირან სხიერელს დღეში ხუთ-ექვს საათს ავარჯიშებდა და, მოგეხსენებათ, ამირანი დიდებული კალათბურთელი გახდა — გვეუბნება ბ. კანდელაკი — ანდა, ჩვენი გიგანტის აზნაურ ლედავს მაგალითი ავიღოთ. რაჭიდან ჩამოიყვანეს, რომ იტყვიან, კალათბურთის გაგებაში არ იყო, ჰოდა, დაუღალავი ვარჯიშით ნახეთ რას მიაღწია — ნაკრების წევრიც კი გახდა.

თავად ბათუს მიხეილ კეკელიძე ხშირად ეხუმრებოდა — „ბარელამ ლოგინს მოგიტან ამ დარბაზში, მაინც აქ ხარ დღე და ღამე!“

მოგეხსენებათ, ღამით სპორტსმენებს სძინავთ და, ასე ვთქვათ, ნებისმიერი სპორტდარბაზიც ისვენებს დილამდე, მაგრამ ბათუ აბა რის ბათუა, თუ ეს ტაიმ-აუტი“ არ გამოიყენა ...აიღებდა კუთხეში მიგდებულ ბურთს და გაუთავებლად ტყორცნიდა კალათში, ტყორცნიდა... ტყორცნიდა...

ძალიან მოსწონდა ეს გატაცება, ბურთს არ უშვებდა ხელიდან.

ერთხელ გაუბედავად შესთავაზა ჩვენი გუნდის მთავარ სნაიპერს — შურა ჭილაძეს: „მოდი, შევეჯიბროთ სროლაში!“ ცენტრიდან ტყორცნეს ბურთები — ოთხიდან ოთხივე ჩააგდო ორივემ. ესეც არ იკმარა ბათუმ და იმავე საღამოს ახალი „ფოკუსი“ მოიგონა — ჯერ ზურგით შემოტრიალებული ტყორცნიდა ბურთს კალათში, მერე თვალებზე ცხვირსახოცაკრული, ბოლოს კი ასეთი რამ მოიფიქრა: დარბაზში შესასვლელთან მოთავსებულ ოთახთან (ნონა ექიმის კაბინეტს რომ ეძახიან) ბურთს ურტყამდა კედელს და ისიც „დაჯერებით“ ხაზავდა ჰაერში ათმეტრიან ტრაექტორიას და ზუსტად ეშვებოდა კალათში. ვინ არ შეეჯიბრა ბათუს ამაში — გივი ბიჭიაშვილი, სანდრო გლურჯიძე თუ იუგოსლაველთა გუნდის მწვრთნელი ივო დანეუ, ზედიზედ ორი წელიწადი რომ ჩამოჰყავდა თავისი გუნდი სავარჯიშოდ თბილისში. ვერავინ აჯობა ბათუს!

აი, ეს „საფირმო“ ტყორცნა არის ბათუს მთავარი ჰობი, მაგრამ ამ მოუსვენარ კაცს მეორე გატაცებაც აქვს. წარმოიდგინეთ, ისიც კალათბურთთან არის დაკავშირებული.

აი, რა: ბატონი ბათუ უბადლოდ ქსოვს... კალათბურთის ბადეებს. ეს ოცი წლის წინათ უსწავლებია მისთვის ვიღაც ტაჯიკ მწვრთნელს, ჩვენს ქალაქში რომ იყო ჩამოსული კალათბურთელთა ტურნირზე. მართლაც დიდებულად გამოსდის — მთელი გუნდი, ხუთივე მოთამაშე რომ ჩამოეკიდოს ზედ ხელებით, ვერაფერს დააკლებს. უკვირს ყველას და აკი ხშირად სთხოვენ ბათუს შეასწავლოს ეს იშვიათი ხელობა.

ბათუ კანდელაკის (კინაღამ წამოგვცდა „ბათუ კრავეიშვილის“) პორტრეტი რომ სრულად დავხატოთ, ალბათ, საჭიროა მოვიყვანოთ აქ მისი მთლიანი რეგალიები: საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, წარჩინებული ფიზკულტურელი, ღირსების ორდენის კავალერი, სპორტკომიტეტის [illegible] სამახსოვრო მედლის მფლობელი.

ბატონ ბათუს საუბრის დასასრულს ვთხოვეთ რაიმე განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი ეამბნა ჩვენთვის საკალათბურთო ცხოვრებიდან. არ დააყოვნა:

— თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდის უფროსი ვიყავი. მოსკოვში, ცსკას დარბაზში ვთამაშობდით საკავშირო ჩემპიონატის მატჩს კიეველ არმიელებთან. ბოლო წუთი მიმდინარეობდა, ერთ ქულას ვაგებდით. ჩვენი ბიჭები ჯიქურ უტევდნენ მეტოქის ფარს. ამ დროს ლომაძეს ვიღაც მცველმა ისე უბიძგა, რომ ვალერი კინაღამ მსაჯთა მაგიდას გადააფრინა. ორი საჯარიმო სროლა მოვიპოვეთ: სუნთქვა შემეკრა: „ღმერთო, ოღონდ ეს ჯარიმები ჩაგვაგდებინე და თბილისში, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში 14 სანთელს დაგინთებ!“ ვთქვი თოთხმეტს იმიტომ, რომ ჩვენს გუნდში სწორედ ამდენი კალათბურთელი იყო მწვრთნელებთან ერთად. ღვთის მორწმუნე ვარ და მჯეროდა ჩემი ვედრებისა. ასე აგისრულდეთ ყველაფერი! ეს ძნელი პაექრობა ერთი ქულით მოვიგეთ... დიდუბის ეკლესიაში თოთხმეტი სანთელი დავანთე!

...კონსტიტუციის ქუჩაზე თუ გაივლით, შედით ამ წითელ შენობაში. იქვე, პირველ სართულზე, პატარა ოთახში ან დარბაზში აუცილებლად ნახავთ ბათუ კანდელაკს. თუ გნებავთ, „ბრასოკებში“ გაჯიბრება შესთავაზეთ, თუ პაექრობის სურვილი არა გაქვთ, მაშინ თხოვეთ იქნებ გასწავლოთ კალათბურთის ბადის მოქსოვა... მხოლოდ ერთს ნუ სთხოვთ ამ მართლაც უნიკალურ კაცს — „გურგელას“ მიერ შენობის საძირკველში ჩაფლულ ოქროს ათმანეთიანის ადგილსამყოფელის მითითებას. დარწმუნებული ვართ, გიპასუხებთ, რომ ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, წითელი აგურის შენობა თუ დაინგრევა.

ღმერთმა კიდევ კარგა ხანს არ გამოაცალოს საძირკველი ქართული სპორტის ისტორიულ ამ ძველ, გვარიანდ შელახულ აკვანს!

ოთარ ნოზაძე

სურათზე: **ბათუ კანდელაკი დღესაც სიამოვნებით ასრულებს თავის „საფირმო“ ტყორცნას. რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

მთელი ქონება ჭადრაკს შესწირა

ჭადრაკს ბევრი მდიდარი მეცენატი ჰყოლია. ვინ მოთვლის, რამდენი დიდი საერთაშორისო ტურნირი თუ მატჩი მოწყობილა მათ მიერ შექმნილი ფონდებით. ძველ ქველმოქმედებს რომ თავი დავანებოთ, განა ასეთი არ არის ფიდეს ახლანდელი პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი, რომელიც დიდ საკუთარ თანხებს ხარჯავს საჭადრაკო შეჯიბრებების გასამართავად!

ამასთან ერთად, მეცენატებს თუ სპონსორებს თავიანთი „ჩემპიონიც“ ჰყავთ. ეს გახლავთ ყოფილი ბელგრადელი ბანკირი იეზდიმირ ვასილევიჩი, რომელმაც 1992 წელს 9 მილიონი დოლარი დახარჯა რობერტ ფიშერ — ბორის სპასკის ე.წ. „საუკუნის მატჩის“ მოსაწყობად და სულ მალე... გაკოტრდა. სულ მალე, 1993 წლის გაზაფხულზე, იგი იძულებული გახდა ბელგრადიდან გაქცეულიყო, რათა მრავალრიცხოვანი კრედიტორებისგან თავი ეხსნა. ვასილევიჩი დროებით ისრაელში დასახლდა 1993 წლის მარტში, როცა ფიშერი 50 წლისა გახდა, ბანკირმა მისალოცად ბუდაპეშტში თავისი იტალიელი ცოლი გააგზავნა (ფიშერს მატჩის მოგებისათვის მან ხომ ადრე მართლაც რომ სარეკორდო თანხა — 3 მილიონ 268 ათასი დოლარი გადაუხადა).

ისრაელის შემდეგ იეზდიმირ ვასილევიჩი სამხრეთ ამერიკაში გადაიხვეწა, სადაც ერთხანს ეკვადორში საქმიანობდა, მაგრამ მისი ეკონომიკური მდგომარეობა ვერა და ვერ გამოსწორდა. ამ რამდენიმე ხნის წინათ უნგრელმა საჭადრაკო მოღვაწემ იანოშ კუბატმა, რომელიც თავის დროზე ფიშერ-სპასკის მატჩის დირექტორი იყო, იეზდიმირ ვასილევიჩი ბუდაპეშტში ნახა და ძლივს იცნო, მას შავი სათვალე ეკეთა. როგორც კუბატმა გერმანულ ჟურნალ „როხადეს“ კორესპონდენტ დაგობერტ კოლმაიერს განუცხადა, ახლა ყოფილ ბანკირს საერთოდ არავითარი თანხა აღარ დარჩა.

როგორც მკითხველს კარგად ახსოვს, იუგოსლავიაში ფიშერ — სპასკის 1992 წლის მატჩის წინ ამერიკელს, რომელიც მაშინ პასადენაში ცხოვრობდა, წერილებს წერდა და შემდეგ ეწვია კიდეც ბუდაპეშტელი გოგონა ზიტა რაიჩანი. შემდეგ რაიჩანი ფიშერ — სპასკის მატჩს თავიდან ბოლომდე ესწრებოდა და ამერიკელთან მეგობრობდა. მაშინ ფიქრობდნენ, რომ ისინი დაქორწინდებოდნენ კიდეც.

შემდეგ ფიშერი და რაიჩანი ერთმანეთს კარგა ხანს აღარ შეხვედრიან. როგორც „როხადეს“ კორესპონდენტს რაიჩანიმ განუცხადა, იგი 1994 წელს ქუჩაში შემთხვევით შეხვდა ფიშერს, რომელმაც სთხოვა ცოლად გაჰყოლოდა, მაგრამ უარი მიიღო.

ახლა რაიჩანი ბუდაპეშტში ცხოვრობს, უნგრელ ჟურნალისტზეა გათხოვილი და ჰყავს სამი შვილი.

კამსკი დაბრუნდება

ახალგაზრდა დიდოსტატმა გატა კამსკიმ, მას შემდეგ, რაც ელისტაში დიდი მატჩი ითამაშა მსოფლიო პირველობაზე ანატოლი კარპოვთან, დიდი ხნით მიატოვა ჭადრაკი და მედიცინის შესწავლას მიჰყო ხელი. მართალია, მან მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს მეორე ჩემპიონატში ნოკაუტ-სისტემით ლას-ვეგასში (სადაც ადრეულ სტადიაზე დამარცხდა მომავალ ჩემპიონ ალექსანდრ ხალიფმანთან), მაგრამ ეს, მისივე განცხადებით, ჭადრაკში დაბრუნებას მაინც არ ნიშნავდა.

ახლა, როგორც დიდოსტატის მამა რუსტემ კამსკი აცხადებს, მოჭადრაკემ განცალკევებით ცხოვრება ამჯობინა. თუ რუსტემი ბრუკლინში (ნიუ-იორკის რაიონი) ცხოვრობს, გატა ფეშენებელურ რაიონ მანჰეტენში გადასახლდა და ძირითადად მედიცინით არის დაკავებული. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი აპირებს კლინიკის გახსნას და ჭადრაკსაც აუცილებლად დაუბრუნდება.

2
GATA
KAMSKY

ვერაფერი საქმეა, ღმერთმანი

როგორც მკითხველს მოეხსენება, იუგოსლავიელი მოჭადრაკე ქალები მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესონი იყვნენ. მათი ნაკრები საპატიო ადგილებს იკავებდა ოლიმპიადებზე. ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ რამდენიმე წამყვანი რუსი დიდოსტატი იუგოსლავიაში... არ გათხოვდა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქ. ჰერცეგ ნოვიში დასრულდა იუგოსლავიის ჩემპიონატი ქალთა შორის. 13 შესაძლებლიდან 12 ქულით ჩემპიონი გახდა სვეტლანა პრუდნიკოვა. მეორე-მესამე ადგილები 10,5 ქულით გაიყვეს ახლო წარსულში ასევე რუსეთის მოქალაქეებმა მარია მანაკოვამ და ირინა ჩელუშკინამ.

მასპინძელია ჩინეთი

ფიდეს ხელმძღვანელები პასუხობენ

ფიდეს ახალმა გადაწყვეტილებამ — შემოიღოს მსოფლიო თასის გათამაშება, დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, ჟურნალისტებმა არაერთი კითხვით მიმართეს ფიდეს ხელმძღვანელებს.

ემანუელ ომუკუ (ფიდეს გენერალური მდივანი): ლონდონში, ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოზე კირსან ილიუმჟინოვი გამოვიდა მსოფლიო თასის ჩატარების ინიციატივით. ახალი შეჯიბრება ტრადიციული და ყოველწლიური იქნება.

მოეწყობა ვაჟთა და ქალთა ტურნირები, თითოეულში 24 მონაწილით.

მსოფლიო თასის მიზანია ფიდეს ოფიციალური კალენდრის გაფართოება და ჭადრაკში ახალი ორგანიზატორების მოზიდვა, რომელთაც სურთ დიდი რანგის, მსოფლიო ჩემპიონატთან მიახლოებული, შეჯიბრებების გამართვა.

● ***როგორია მსოფლიო თასის საპრიზო ფონდი?***

— საერთო ფონდი 400 ათასი დოლარია. შემდეგში, შესაძლოა, გაიზარდოს. ვაჟთა შორის გამარჯვებული 50 ათას დოლარს მიიღებს, ქალთა შორის — 30 ათასს. შეჯიბრება ასე ტარდება: ჯერ ტარდება ოთხი წრიული ტურნირი, თითოეულში 6 მონაწილით. ორ-ორი გამარჯვებული გადის შემდგომ ეტაპზე — ეს 8 მონაწილე უკვე ნოკაუტ-სისტემით მატჩებით გააგრძელებს გზას და ასე გამოავლენს თასის მფლობელს.

ის, ვინც უკვე ნოკაუტ-სისტემით ვაჟთა შორის პირველივე მატჩს წააგებს, 10 ათას დოლარს მიიღებს, ერთ წრეს გაივლის და მეორე მატჩს წააგებს, უკვე 20 ათას დოლარს მიიღებს. ასევე განაწილდება თანხები ქალთა შორის. უკვე დავდეთ ხელშეკრულება ჩინეთის ქალაქ შენიანთან, სადაც ჩატარდება მსოფლიო თასის ეს პირველი გათამაშება — 1 სექტემბრიდან 14 სექტემბრამდე.

● ***ითამაშებენ თუ არა მსოფლიო თასზე უძლიერესი მოჭადრაკეები — კასპაროვი, კრამნიკი, ანანდი?***

— ფიდე ასეთ პოლიტიკას ატარებს — არავის დაუკეტოს კარი. დეე, ყველამ თვით გადაწყვიტოს, ითამაშებს თუ არა. უკვე გვქონდა წინასწარი კონტაქტი ზოგიერთ წამყვან მოჭადრაკესთან, მათ სურთ თამაში.

● ***მაინც რა პრინციპული განსხვავებაა მსოფლიო თასსა და მსოფლიო პირველობას შორის?***

— მინდა გითხრათ, რომ ბევრ ქვეყანას სურს მსოფლიო პირველობის ჩატარება, მაგრამ ფინანსური შესაძლებლობა არა აქვს. აი, მსოფლიო თასი კი ამის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, ჩვენ ვაფართოებთ ჭადრაკის პოპულარიზაციას და ვზრდით ტურნირების რაოდენობას. გარდა ამისა, მსოფლიო პირველობა თავისი ფორმულითაც განსხვავდება მსოფლიო თასისგან.

ვილი იკლიკი (ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი): იდეა საკმაოდ მარტივია: ფიდე თავის ძალებს ამ ორ უმთავრეს ტურნირს: მსოფლიო ჩემპიონატსა და მსოფლიო თასს მოახმარს. მსოფლიო თასზე მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის, აფრიკის, აზიის წარმომადგენლები, რომელთაც საკმაოდ მაღალ დონეზე გამოსვლის საშუალება მიეცემათ.

● ***კარპოვს თუ მოიწვევთ?***

— ჯერ ეს საკითხი არ გადაწყვეტილა. საბოლოო სია მალე უნდა გამოქვეყნდეს.

● ***არის თუ არა სათადარიგო მონაწილეების სია?***

— მას სატურნირო ორგკომიტეტი შეადგენს.

● ***მსოფლიო თასსა და მსოფლიო ჩემპიონატს შორის მცირე დრო რჩება.***

— დიახ, სულ სამი თვე. მაგრამ ჩვენ გავითვალისწინეთ ჩინელი ორგანიზატორების თხოვნა, რომ თასის გათამაშება მაინცდამაინც წელს ჩატარებულიყო. საქმე ის არის, რომ ქალაქ შენიანს დაარსებიდან 2300 წელი უსრულდება. ჩვენ გვინდოდა ეს ასპარეზობა აგვისტოში მოგვეწყო, მაგრამ ამ თვეში რამდენიმე ტრადიციული შეჯიბრებაა დაგეგმილი.

უმერ კოიას (ინდოეთი):

● ***გვითხარით, თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვა მსოფლიო პირველობაზე ნიუ-დელიში?***

— ბედნიერები ვართ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი, ბოლოს და ბოლოს, ინდოეთში ჩატარდება. ამას დიდი ხანია ვუცდიდით და ვემზადებით სტუმრების, მოჭადრაკეებისა და ჟურნალისტების ღირსეულად მისაღებად. რაიმე პრობლემა არა გვაქვს, შეგვიძლია 3000 კაციც კი მივიღოთ.

ირანის წარმომადგენელი ჯაჰანგირ ბაგლარი:

● ***თქვენი ქვეყანა ჭადრაკის ისტორიაში ახალი ფურცლის ჩაწერას აპირებს***

— როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ნაწილი ჩემს ქვეყანაში ჩატარდება. ამას წინათ ირანის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტს კონსტრუქციული შეხვედრა ჰქონდა მის აღმატებულება კირსან ილიუმჟინოვთან. იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჩემპიონატი მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს. სპონსორული წყარო კი რამდენიმე იქნება.

● ***თქვენი ქვეყნის მხრიდან თუ ფიდეს შემწეობით?***

— გამოყენებული იქნება ნებისმიერი წყარო. უნდა გითხრათ, რომ სერიოზულ დახმარებას ამ მატჩს ირანის მთავრობა გაუწევს. ვიწვევ ირანში ჭადრაკის გულშემატკივრებს, მოყვარულებს დაესწრონ ამ დიდ და დასამახსოვრებელ შეჯიბრებას.

● ***რა ნაბიჯები გადაიდგა ფინალის ორგანიზაციის საქმეში?***

— შედგა ორგანიზაციული კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ირანის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი და ფიდეს ხელმძღვანელი მოღვაწეები. ახლა აუცილებელია იმის გადაწყვეტა, და, რაც შეიძლება სწრაფად, რომელ ქალაქში და როდის ჩატარდება ეს ფინალური მატჩი, რათა გადაწყდეს მონაწილეებისა და სტუმრების მიღების საკითხი.

მსოფლიო თასზე მონაწილე მოჭადრაკეების წინასწარი სია

ვაჟები

1. ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი, 2655) — მსოფლიო ჩემპიონი

2. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა, 2621) — ჭაბუკი, ყველაზე უფრო მაღალი რეიტინგით.

3. იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2658) — ქალი, ყველაზე მაღალი რეიტინგით.

ფიდეს პრეზიდენტის ნომინანტები: 4. ნაიჯელ შორტი (ინგლისი, 2683). 5. ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო 2673).

6. ორგანიზატორი ქვეყნის, ჩინეთის ნომინანტი (გვარი მოგვიანებით გამოცხადდება).

კონტინენტების წარმომადგენლები: 7-8 (გვარები მოგვიანებით გამოცხადდება). 9. ჟილბერტო მილოში (ბრაზილია, 2620). 10. ბორის გულკო (აშშ, 2644). 11. სე ხუნი (ჩინეთი, 2578). 12. ჟანგ ჟონგი (ჩინეთი, 2611). 13 მუჰამედ ტისირი (მაროკო, 2311). 14. აიმენ რიზუგი (ალჟირი, 2310).

უმაღლესი რეიტინგის მქონე დიდოსტატები: 15. გარი კასპაროვი (რუსეთი, 2851), 16. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2769). 17. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2758), 18. ალექსეი შიროვი (ესპანეთი, 2751). 19. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი, 2748). 20. პეტერ ლეკო (უნგრეთი, 2725). 21. გატა კამსკი (აშშ, 2717). 22. მაიკლ ადამსი (ინგლისი, 2715). 23 ევგენი ბარეევი (რუსეთი, 2709). 24. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2708).

სათადარიგოთა სია: 25. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2702). 26. ანატოლი კარპოვი (რუსეთი, 2696). 27. ბორის გელფანდი (ისრაელი, 2692). 28. ალექსეი ფედოროვი (ბელორუსია, 2684). 29. ალექსეი დრეევი (რუსეთი, 2681) 30. მიხაილ გურევიჩი (ბელგია, 2680).

ქალები

1. სიე ჟუნი (ჩინეთი, 2542) — მსოფლიო ჩემპიონი.

2. ხოან თხან ტრანი (ვიეტნამი, 2448) — გოგონა, ყველაზე მაღალი რეიტინგით.

ფიდეს პრეზიდენტის ნომინანტები: 3. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2409). 4. ირინა კრაში (აშშ, 2399). 5. რეგინა პოკორნა (სლოვაკია, 2298). 6. ორგანიზატორი ქვეყნის, ჩინეთის ნომინანტი (გვარი მოგვიანებით გამოცხადდება).

კონტინენტების წარმომადგენლები: 7. ნატალია ჟუკოვა (უკრაინა, 2471). 8. ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი, 2451). 9. იადირა ერნანდესი (მექსიკა, 2206). 10. კლაუდია ამურა (არგენტინა, 2362). 11-14 (გვარები მოგვიანებით გამოცხადდება).

უმაღლესი რეიტინგის მქონე დიდოსტატები: 15. იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2658). 16. ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი, 2565). 17. მაია ჩიბურდანიძე (საქართველო 2545). 18. ჟუ ჩენი (ჩინეთი, 2530). 19. ალისა გალიამოვა (რუსეთი, 2515). 20. სოფია პოლგარი (უნგრეთი, 2500). 21. ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2495). 22. ვან ლი (ჩინეთი, 2495). 23. პია კრამლინგი (შვედეთი, 2493). 24. ნანა იოსელიანი (საქართველო, 2484).

სათადარიგოთა სია: 25. სიუ იუჰუა (ჩინეთი, 2477). 26. ცინ კანინი (ჩინეთი, 2475). 27. ვან პინი (ჩინეთი, 2469). 28. ალისა მარიჩი (იუგოსლავია, 2468). 29. ნინო ხურციძე (საქართველო, 2464). 30. ჰარიეტ ჰანტი (ინგლისი, 2448).

ყველა რეიტინგი 2000 წლის 1 იანვრის მონაცემებით.

ჩოგბურთი დევისის თასის ფინალი – 8-10 დეკემბერს

როგორც ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა აგუსტი პუხოლმა განაცხადა, დევისის თასის ფინალური მატჩი ესპანეთისა და ავსტრალიის ნაკრებებს შორის ჩატარდება ბარსელონაში 8-10 დეკემბერს, სპორტულ დარბაზ „სანტ ხორდიში“.

— გვინდოდა მატჩი ღია კორტებზე ჩაგვეტარებინა, მაგრამ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ეს ზამთარში სწორი გადაწყვეტილება არ იქნებოდა.

კროსვორდი №62. ჩაწერეთ საქართველოს 1990–2000 წლების ეროვნულ ჩემპიონატში «A» ჯგუფის არბიტრების გვარები



მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



11 აგვისტო, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. კავკასია. „მსოფლიო სპორტი“ (18.00), „ვარსკვლავები“ (21.00), ***HTB плюс футбол.*** უეფას თასი: მატჩი №1 (13.15), მატჩი №2 (15.30), ჰოლანდიის განვლილი ჩემპიონატიდან „აიაქსი“ – „სპარტა“ (17.15), შოტლანდიის ჩემპიონატი: „სელტიკი“ – „მაზერუელი“ (19.15), „სენტ-ჯონსტონი“ – „ჰარტსი“ (21.00), გერმანიის ჩემპიონატი. „ბორუსია“ – „ჰანზა“ (23.10), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (1.20), ***ESPN.*** საერთაშორისო საპლაჟო ფეხბურთი (7.00), ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა: ჰოლანდიიდან (12.30), ეროვნებათა თასი, ირლანდიიდან (22.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (2.45).

12 აგვისტო, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „სტადიონი“ (19.20), კავკასია. „მსოფლიო სპორტი“ (18.00), „ვარსკვლავები“ (21.00), ***PTP.*** ავტორბოლა. ფორმულა-1, გრან-პრი (2.50), ***HTB плюс футбол.*** ჩემპიონატები: გერმანიის – „ბორუსია“ – „ჰანზა“ (13.15, 18.25), შოტლანდიის: „სელტიკი“ – „მაზერუელი“ (15.00), „სენტ-ჯონსტონი“ – „ჰარტსი“ (16.40), ჟოაო აველანჟის თასის გათამაშება: „გრემიო“ – „პალმეირასი“ (21.20), იტალიის განვლილი ჩემპიონატი: „მილანი“ – „ინტერი“ (23.40). ***ESPN.*** აშშის საფეხბურთო ლიგა: „ნ.ი. მეტროსტარსი“ – „ჩიკაგო ფაიერი“ (1.00).

13 აგვისტო, კვირა

საქართველოს ტელევიზია. კავკასია. ავტორბოლა. ფორმულა-1 (17.00), „ვარსკვლავები“ (21.00), ***PTP.*** ავტორბოლდა. ფორმულა-1 (16.55), ***HTB плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15), ჟოაო აველანჟის თასი: „გრემიო“ – „პალმეირასი“ (15.45), საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (18.00), რუსეთის ჩემპიონატი: „ურალანი“ – „დინამო“ (18.55), ცსკა – „ფაკელი“ (20.50), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (23, 10), საფრანგეთის ჩემპიონატი: „ოლიმპიკო“ – „ლანსი“ (23.40), ***ESPN.*** კრივი: გრეგ რაიტი – კრის ჯონსონი (18.30), ფეხბურთი. ბრაზილია – კანადა (0.00), ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო თასი (12.30), მოტოკროსი. მსოფლიო პირველობა (14.45, 19.30, 3.15), ფეხბურთი. „ევრო-2000“-ის საუკეთესო მომენტები (20.30, 22.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00).

კროსვორდი №61-ის პასუხები

1. კოსტავა, 2. ცაავა, 3. ყიფიანი, 4. დუნდუა, 5. დურსუნიში, 6. გოგიაშვილი, 7. ვერულიძე, 8. მიმინოშვილი, 9. სიჭინავა, 10. ხიზანიშვილი, 11. იმნაძე, 12. ზოიძე, 13. გუცაევი, 14. ბალაძე, 15. ქეიშვილი, 16. მაისურაძე, 17. თელია, 18. ხაჭაპურიძე, 19. კაცია, 20. ცინარიძე, 21. მუჯირი, 22. ამირეჯიბი, 23. იმნაძე, 24. აკობია, 25. გუგუშვილი, 26. კოკაია, 27. გოგია, 28. შენგელია 29. ჯონი, 30. ფირცხალავა.

„ცისფერი თამაშები“

წლევანდელი შემოდგომის კვალდაკვალ, ავსტრალიის ქალაქი სიდნეი კვლავ სპორტული სამყაროს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება. იქ 2001 წელს განზრახულია ჩატარდეს „ცისფერებისა“ და ლესბოსელთა მეექვსე მსოფლიო თამაშები, სადაც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლები ერთმანეთს შეეცილებიან მედლების 31 კომპლექტს. მათ შორის სპორტის წმინდა ავსტრალიურ სახეობებში: რაგბში, ბალახის ჰოკეისა და სერფინგში. წინა თამაშებში 27 სახეობა შედიოდა.

ფიქრობენ, ავსტრალიის თამაშები მასობრიობისა და ორგანიზაციის მხრივ ბევრად გადააჭარბებს მსგავს IV თამაშებს, რომელიც 1994 წელს ნიუ-იორკში ჩატარდა. მაშინ ოლიმპიადაზე 40 ქვეყნის 15 ათასი სპორტსმენი გამოდიოდა. მათ შორის ინდოეთიდან, პაკისტანიდან, ისრაელიდან, ბულგარეთიდან, რუსეთიდან, ზიმბაბვედან და განიდან. ყველაზე დიდ — ამერიკულ დელეგაციაში შვიდი ათასამდე „ვარდისფერი“ და „ცისფერი“ ათლეტები იყვნენ. „გეებისა და ლესბოსელების ეს თამაშები ბევრს აზრს შეაცვლევინებს ჩვენზე“, — განაცხადა ცნობილმა ჩოგბურთელმა მარტინა ნავრატილოვამ. მონაწილეთა ყველაზე ორიგინალურ კოსტუმად გახსნის ცერემონიალზე მაყურებლებმა ერთხმად აღიარეს მამაკაცის (თუ როგორ იწოდებიან ისინი) პრეზერვატივებისაგან „შეკერილი“ ჟილეტი.

პირველი ასეთი თამაშები კი, 1982 წელს სან-ფრანცისკოში ჩატრადა, რომლის დამფუძნებლად ითვლება ოლიმპიადა-68-ის მონაწილე ათჭიდელი ტომ ვადელი (გარდაიცვალა 1987 წელს, შიდსით) აშშ-ს ეოკ-მა სასამართლოში გააპროტესტა სიტყვა „ოლიმპიურის“ გამოყენება, და 1986 წლიდან ახლა მას, უბრალოდ, **Gay Gammes**-ს ეწოდება. „გეების თამაშებისათვის“ მზადება მიმდინარეობს მთელი ძალით, და მომდევნო შეჯიბრების ჩატარების მასპინძლობისათვისაც იბრძვიან. ყველაზე მეტად „სურთ“ დიდბრიტანელებს, იქნებ არც რუსეთმა თქვას უარი და მიიწვიოს „ცისფერი თამაშები“.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ომარ ბლიაძეს **მამის** გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური თანაგრძნობას უცხადებს ამავე ორგანიზაციის თანამშრომელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ომარ ბლიაძეს **მამის** გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 11 და 12.08, 17 საათზე, დაკრძალვა კვირას, 13.08. 15 საათზე. მისამართი: ქაქუცა ჩოლოყაშვილის (ყოფილი 5 დეკემბრის) II კვ. IV კორპ.

საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ თანაგრძნობას უცხადებს ამავე საზოგადოების წევრს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ომარ ბლიაძეს **მამის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ თანაგრძნობას უცხადებს ამავე საზოგადოების წევრს ანზორ ბაბუხადიას ძმის

რუსლან ბაბუხადიას

გარდაცვალების გამო.

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ე F5!
1. ...მფ: F5 — 2. ლ e 6X.
1. ...c5 — 2. ლd5X.
1. ...მფd4 — 2. ლa4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.